პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.

მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—3 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ— 10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 800 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ფასი 10,000 მან.

პროვინციაში 12,000 მან.

190 შაბათი, 19 აგვისტო 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი, 19 აგვისტო 1922 წ. № 190

კვირას, 20 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს შენობის დიდ დარბაზში მოხდება

საქართველოს საექიმო-სანიტარულ მუშაკთა კავშირის სრულიად საქართველოს მეორე ყრილობის საზეიმო გახსნა.

ვთხოვთ თბილისის ყველა ადგილკომებს რომლებიც შედიან აღნიშნულ კავშირში გამოცხადდენ თავის დროზე.

(169—2—2) **საორგანიზაციო ბიურო.**

ორშაბათს, 21 აგვისტოს საღამოს 6 საათზე, სახალხო სახლის (ყოფ. ზუბალოვის) შენობაში შესდგება

ტფილისის ქალაქის საბჭოს პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი:

1) თბილისის ქალაქის აღმასკომის მუშაობის გეგმა.
2) კომუნალური მეურნეობის განყოფილების მოხსენება ქალაქის წარმოებათა მდგომარეობის შესახებ.
3) მიმდინარე საქმეები.

სავალდებულოა ყველა წევრების თავისდროზე გამოცხადება.

(169—2—2). მდივანი: **ხუნდაძე.**

განცხადება

(ტფილის მცხოვრებთა საყურადღებოდ)

თბილისის ქალაქის აღმასკომთან არსებული შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის გამტარებელი კომისია

ამით აცხადებს, რომ თანახმად თბილისის ქალაქის აღმასკომის დადგენილებისა № 6 შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის მაგიერ ფულის აკრება თბილისში იწყება ამა წლის 21 აგვისტოდან.

ფული მიიღება სამისამართო მაგიდის წარმომადგენლებთან კომისარიატებში დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

ფული უნდა შეკრიბონ მდგმურებიდან, თანახმად § 3 დადგენილებისა № 6 და წარადგინონ სახლის პატრონებმა ან მათ მაგიერ პირებმა.

ფულის გადამხდელთ მიეცემათ სპეციალური მარკები

ვინაიდან ფული უნდა იქნას გადახდილი ოქროს კურსით, კურსი იქნება გამოცხადებული ცალკე ა. წ. 20 აგვისტოს.

კომისიის თავმჯდომარეს მოადგილე **ნ. ნაჭყიდაშვილი.**

პასუხის მგებელი მდივანი, კომისიის წევრი **ა. რუხაძე.**

(4—3)

ინტერნაციონალების კონგრესები

ამა წლის 7 ნოემბრისათვის დანიშნულია კომუნისტური ინტერნაციონალის მე-4 კონგრესი.

საყურადღებოა მეორე ცნობაც: პრაგაში ამ დღეებში ადგილი ჰქონდა მე-2 ინტერნაციონალის კონფერენციას, რომელმაც დაადგინა მალე იქნას მოწვეული საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი.

ამგვარად, ორი მთავარი მოწინააღმდეგე ძალა, რომელნიც იბრძვიან მსოფლიო მასშტაბით მუშათა კლასზე გავლენის გასავრცელებლად ისევ ემზადებიან, რათა თავიანთ საერთაშორისო ყრილობებზე ჯამი გაუკეთონ წარსულ მუშაობას, გაითვალწინონ მუშათა მოძრაობის მდგომარეობა და შექმნილი ვითარების მიხედვით დასახონ გზები და საშუალებანი შემდგომი მოქმედებისათვის.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ეს ორი კონგრესი დაახლოვებით ერთ და იმავე პერიოდში უნდა მოხდეს. მაშინ როცა კომინტერნი თავს უყრის მუშათა მოძრაობის საუკეთესო ძალებს, რათა გამოიმუშავოს მომენტის შესაფერი ტაქტიკა საერთაშორისო რევოლიუციის დაჩქარებისათვის და შთაბეროს მშრომელ მასსებს ახალი ენერგია კაპიტალთან გადაჭრილი ბრძოლისათვის,—მეორე ინტერნაციონალი ცდილობს მობილიზაცია უყოს ყველა მოდუნებულ, ოპორტიუნისტურ ძალებს, რათა წინაღუდგეს კომუნისტური ინტერნაციონალის გაძლიერებას და შეაფერხოს მსოფლიო რევოლიუციის განვითარება.

და ამ მიზნისათვის მეორე ინტერნაციონალი ემყარება არა მარტო იმ პარტიებს, რომელნიც უბრალოდ შედიან მის შემადგენლობაში, არამედ მონათესავე პარტიებსაც ე. წ. 2 ნახ. ინტერნაციონალიდან.

მომავალი „სოციალისტური“ კონგრესის ერთი მთავარი ამოცანათაგანი სწორედ ის იქნება, რომ მოახდინოს ამ ორი შეთანხმებულ ინტერნაციონალების გაერთიანება, ან უფრო სწორად რო ვსთქვათ, ვენის ინტერნაციონალის შეერთება მე 2 ინტერნაციონალთან, მისი გათქვეფა ამ უკანასკნელში. 2 ნახ. ინტერნაციონალის ეხლანდელი მდგომარეობა სწორედ იმას მოწმობს, რომ ის, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია, ისპობა. ის მთელი თავისი ბუნებით იმ თავითვე მოწოდებული იყო ზურგი გაემაგრებია ბურჟუაზიულ წყობილების აშკარა დამცველ ორგანიზაციასათვის—მუშათა კლასში—მეორე ინტერნაციონალისათვის. და ალბად მალე მოეღება ბოლო იმ ისტორიულ გაუგებრობას, რომელსაც წარმოადგენს ე. წ. ცენტრის პარტიების დამოუკიდებელი ორგანიზაციული არსებობა.

ბლომად მოგვეპოვება ამის დამამტკიცებელი ფაქტები.

ორნახევარი ინტერნაციონალის მთავარ ძალას გერმანიის დამოუკიდებელთა პარტია წარმოადგენს. როგორც ვიცით, ამ პარტიის ლიდერებმა გადასწყვიტეს მიყიდონ თავისი სული ბურჟუაზიის აგენტს შეიდემანს და შეუერთდნენ ამ უკანასკნელის პარტიას, და შემდეგ შევიდნენ კოალიციონურ მთავრობაში, რაც ნიშნავს მუშათა კლასისადმი აშკარა ღალატს, ბურჟუაზიასთან სამოქალაქო ზავის პოლიტიკის გაძლიერებას და მასთან თანამშრომლობას. ამგვარად, გერმანელი დამოუკიდებელნი ინანიებენ თავიანთ „განდგომას“ და უბრუნდებიან იმ პარტიას, რომელშიც ისინი უნდა იყვნენ მთელი თავისი ტრადიციის და განწყობილების მიხედვით.

არა ნაკლებ საყურადღებოა იტალიის სოციალისტური პარტიის ბედი. სერატის ჯგუფი, რომელიც თუ ორგანიზაციულად არა, თავისი ტაქტიკით მაინც 2-ნახ. ინტერნაციონალს დაუახლოვდა, მას შემდეგ რაც ის გაძევებულ იქნა კომინტერნიდან და რეფორმისტებისაკენ გადიხარა ეხლა ამ უკანასკნელებისაგან დამარცხებული და გარიყული, ისევ ფიქრობს იბრუნოს პირი კომინტერნისაკენ. დანამდვილებით ვერ ვიტყვით, თუ როგორ გათავდება ეს პროცესი, მაგრამ არის ნიშნები, რომ სერატიმ შეიგნო თავის შეცდომა. რაც შეეხება იტალიის რეფორმისტებს, მათი ადგილია მე-2 ინტერნაციონალში და ალბად მას შეუერთდებიან.

ამნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ 2 ნახ. ინტერნაციონალი იშლება, და მის ხარჯზე თითქო ხდება ერთგვარი გაძლიერება მეორე ინტერნაციონალის.

არსებითად 2 ნახ. ინტერნაციონალის დაშლა ხელსაყრელია რევოლიუციის თვალსაზრისით.

ცენტრის პარტიების პოლიტიკა, მათი ორ სკამ შუა ჯდომა, ხშირად მყვირალა და რევოლიუციონური ფრაზეოლოგია აბნევდა მუშათა კლასის ნაწილის კლასობრივ შეგნებას. ბურჟუაზია უფრო ადვილად და მოხერხებით გაატარებს თავის პოლიტიკას მუშათა კლასში ამ პარტიების საშუალებით, თუ ეს უკანასკნელნი დამოუკიდებლად იარსებებენ.

ატმოსფერის დაწმენდა, საზოგადოებრივ ძალთა კრისტალიზაცია ხელს შეუწყობს პროლეტარიატს შედარებით მალე და იოლად გამოიცნოს თავისი მტერი და მოკეთე.

2 ნახ. ინტერნაციონალის დაშლით მისი დღემდე მიმდევარი უფრო ჯანსაღი, რევოლიუციონური ელემენტები, ეჭვი არ არის, გადავლენ კომუნისტურ ინტერნაციონალში და გაამაგრებენ მის რიგებს.

ამგვარად პირისპირ წარსდგებიან ერთი მეორის წინააღმდეგ რევოლიუციონური კომუნისტური ინტერნაციონალი და ყვითელი მე-2 ინტერნაციონალი. მათ შორის მოხდება სასტიკი, გენერალური ბრძოლა.

და ამ ბრძოლის შედეგი რევოლიუციის სასარგებლოდ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოახერხებს კომუნისტური ინტერნაციონალი არსებული კომუნისტური ძალების განმტკიცებას და მუშების ფართე მასსების შემოკრებას თავის დროშის ქვეშ.

კიდევ მრავალი რამ აქვს გასაკეთებელი კომუნისტურ ინტერნაციონალს კომუნისტურ პარტიების განსამტკიცებლად. მდგომარეობა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის, რომელშიაც საბოლოოდ არ არი დაძლეული „პაციფისტური“ და ანარქისტული ტენდენციები, მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. არა ნაკლებ საყურადღებოა მუშათა მოძრაობის მდგომარეობა იტალიაში, სადაც რევოლიუციონური ტალღა თანდათან ძლიერდება.

კომინტერნის მომავალი კონგრესი გამონახავს საშუალებებს როგორც აღნიშნულ, ისე სხვა ქვეყნების კომუნისტურ ორგანიზაციების განსამტკიცებლად და გასაძლიერებლად და საერთოდ მსოფლიოს მუშათა კლასის დასარაზმავად კაპიტალიზმის ციხე სიმაგრეზე საბოლოო იერიშის მისატანად.

შრომის ხელფასის დაგვიანებით დარიგება

შრომის ხელფასის დროზედ მიცემას დიდი მნიშვნელობა აქვს მუშა-მოსამსახურეთათვის, ვინაიდან მისი რაოდენობა ჯერ ვერ აღწევს სრულ საცხოვრებელ მინიმუმს და მის მიღების დაგვიანებაც თვეობით მძიმეთ მოქმედებს მუშა - მოსამსახურეების მდგომარეობაზე და აუტანელად ხდის მათ ცხოვრებას. სამწუხაროდ ამ მოვლენას მუდმივი ხასიათი აქვს. რაც დრო მიდის მით უფრო იზრდება დავალიანება მუშა მოსამსახურეებისადმი. ამ მხრივ ყველაზე ცუდ მდგომარეობაში პროვინცია არის, სადაც შემთხვევებია, რომ ჯამაგირები სამი და ოთხი თვის განმავლობაში არ რიგდება. რამდენათ უფრო დაშორებულია ესა თუ ის კუთხე ცენტრიდან, იმდენათ დაგვიანებით კმაყოფილდებიან კუთვნილი ხელფასით. შედარებით ცენტრის მდგომარეობა უფრო უკეთესია. ახლო მყოფ მოსამსახურეებს უფრო მალე და სრულიად აკმაყოფილებს, შემდეგ კი პროვინციას.

პირველი კითხვა, რომლითაც მიმართავენ ტფილისიდან მისულს პროვინციაში, შეეხება ჯამაგირებს. აღსანიშნავია, რომ იქ ლაპარაკი არის მხოლოდ მისი დროზე მიღებაზე და ძალიან ძვირად მომატებაზე. ჯამაგირების გადიდების ამბავი მათ ყურამდე ძალიან დაგვიანებით მიდის. არის შემთხვევები, როცა ხელფასს იღებენ არა თუ ა. წ. იანვრის ტარიფების მიხედვით (საბჭოთა დაწესებულებებში ყველგან ჯერ ჯერობით იანვრის ტარიფებია), არამედ გასული წლის ძველი ანგარიშითაც.

ჯამაგირების დაგვიანება ამა თუ იმ დაწესებულების მოსამსახურეებისათვის დამოკიდებულია იმისაგან თუ რომელ კომისარიატს ეკუთვნიან ისინი. ერთ კომისარიატის დაწესებულება ადრე იღებს, მეორე გვიან. ეს ხდება სისტემატიურათ და ჯერ ჯერობით უცვლელია. განსაკუთრებით დაგვიანების მხრივ აღსანიშნავია ყველაზე უფრო, განათლების, იუსტიციის და სხვა კომისარიატები. მასწავლებლები ისე შეეჩვიენ რამოდენიმე თვეობით უჯამაგირობას, რომ ამაზედ საყვედურსაც აღარ ამბობენ, ჩვეულებრივ მოვლენათ მიაჩნიათ. შეიძლია მოვიყვანოთ მთელი რიგი ადგილებისა, სადაც ჯამაგირები სამიოთხი და მეტი თვეებით გვიანდება. ნახავთ პროვინციაში ისეთ მოსამსახურეებს, რომელნიც მთელი წლის განმავლობაში არაფერს არ იღებენ. (საჯავახოს სამკითხველოში არის ერთი მოსამსახურე, რომელიც ერთი წელიწადი მსახურობს და ჯერ კიდევ ჯამაგირი არ მიუღია).

წინააღმდეგის მტკიცებას, რომ ჯამაგირს დროზედ იღებენო, რასაკვირველია, არავინ დაიწყებს. საჭიროა მხოლოდ გამოვძებნოთ მიზეზები ამ დაგვიანებისა და შეძლების დაგვარად მოვსპოთ ის და ხელფასის დროზედ დარიგების საკითხი საბოლოოდ გადავწყვიტოთ. რა აფერხებს ჯამაგირების დროზედ განაწილებას? რასაკვირველია, ამაში მთელ ბრალდებას ვერ წაუყენებთ ცენტრალურ დაწესებულებებს—სახალხო კომისარიატებს (ამ წერილში ვეხები მხოლოდ სახელმწიფო მომარაგებაზე დატოვებულ მუშა-მოსამსახურეებს) მაგრამ ნაწილი მათი დანაშაულება ცხადია, თუ მხედველობაში მივიღებთ ზემოთ მოყვანილ მოვლენას- პროვინციაში ჯამაგირების დაგვიანების სხვა და სხვა ხანგრძლივობას. ცხადია, რომ ერთი ცენტრალური დაწესებულება უფრო უკეთესათ და ადრე არიგებს ჯამაგირებს, ვიდრე მეორე. არის აგრეთვე შემთხვევები, როცა პროვინციალურ მოსამსახურეს ორი თვის ჯამაგირი არ მიუღია, მის ცენტრალურ დაწესებულებაში კი ჯამაგირის გარდა ზედმეტ საშუალოდ გასამრჯელო დაურიგებიათ. ხშირია აგრეთვე ჯამაგირების თანხების სხვა საქმისათვის მოხმარება და სხვა.

თუმცა ზემოთ მოყვანილი საკმაო დიდი ნაკლია ცენტრალურ დაწესებულებების მოქმედებაში, მაგრამ, ვიმეორებ კიდევ, რომ მთელი ბრალი არ შეიძლება მათ დაადვას, ვინაიდან საერთო დავალიანების მიზეზი არის არა მარტო ჯამაგირების თანხების ცუდად განაწილება, არამედ ამ თანხების სრული და დროზე მიუღებლობა ცენტრ. დაწესებულების მიერ.

ამ უკანასკნელს ყურადღება მიაქცია სახალხო კომისართა საბჭომ და რამოდენიმე თვის წინათ გაღებულ იქმნა სამაზრო აღმასკომების განკარგულებაში ჯამაგირების დაურიგებლობის გამო დავალიანების დასაფარავათ სათანადო თანხები. წარსული დავალიანება ამით დაიფარა. არსებითად კი მდგომარეობა ძველი რჩება. ეს ასედაც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ეს ზომა იყო დროებითი (ვალების დაფარვა) და არა მუდმივი დავალიანება დარჩება და გაიზრდება კიდეც, თუ არ მიექცა ყურადღება შემდეგ: ჯამაგირების თანხები ამა თუ იმ დაწესებულებას უნდა მიეცეს მოსამსახურეთა რიცხვის მიხედვით. ეს რიცხვები განსაზღვრულია ყველა დაწესებულებებისათვის ცალკე ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, მასთან არსებულ საშტატო კომისიის რამოდენიმე თვის მუშაობის შედეგათ. თითეულმა დაწესებულებამ უნდა მიიღოს იმდენი, რამდენიც შეეფერება მის შტატს (დამტკიცებულს), ეს კი ასე არ არის. შეიძლია მოვიყვანოთ მთელი რიგი დაწესებულებებისა, რომელიც იღებენ გაცილებით ნაკლებს ვიდრე ეს საჭიროა მასთვის დამტკიცებულ შტატების შესანახათ.

ჯამაგირების დროზედ დარიგების საკითხი გადაიჭრება მხოლოდ მაშინ როცა მოგვარებულ იქნება ჯამაგირების ფონდის სწორი განაწილება. ამას უნდა მიაქციოს ყურადღება სატარიფო საბჭომ. რომლის მოვალეობას შეადგენს სამუშაო ხელფასის საკითხის მოწესრიგება.

ხ გ—ძე

ელექტროფიკაცია.

ჰიდრო-ელექტრონის სადგური რაჭის მაზრაში

მიუხედავად არა ჩვეულებრივი სიმშილისა რაჭის მაზრაში, ამ წლის საზაფხულო სეზონში მაინც სწარმოებდა ენერგიული აღმშენებლობითი მუშაობა. არა მარტო შეკეთდა ნიაღვრისაგან დანგრეული ხიდები და ბორანები, არამედ გაიმართა სრულიად ახალი ხიდები, როგორც ხის, აგრეთვე კანაფისა. გაიმართა ხარითვალის ჯერ კიდევ ხელ-შეუხებელ ტყეებში (ნიკორწმინდის სატყეო აგარაკში) და რიცეულში (მოსეშვილის მთა) სახერხი ქარხნები. პირველში, ე. ი. ნიკორწმინდის სატყეო აგარაკში, დადგმულ იქნა ორთქლით მოძრავი ქვაბი 65 ცხენის ძალისა მეორე კი წლის ტურბინა. ცხადია, ამან უნდა შეუმსუბუქოს რაჭის მცხოვრებს მისი, ასე ვსთქვათ „კატორღული“ შრომა და თვით ტყეები დაიცვას მტაცებლური გაჩეხა-დამუშავებისაგან.

განსაკუთრებული სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე ისიც, რომ მრავალ ადგილას გაყვანილ იქნა სრულიად ახალი გზატკეცილები და სასოფლო გზები. ეს გზები აახლოვებს სამრეწველო ცენტრებს რკინის გზებთან. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ შემთხვევაში ეძლევა გზას ნაქერალის უღელტეხილზე 51 ვერსტის მანძილზე, გაყვანილს მიუხედავად საშინელი სიმშილისა, მიუხედავათ ყანებში და სათიბებში გაცხარებულ მუშაობისა, მიუხედავად თავისუფალი მუშა საქონლის უქონლობისა, ეს მუშაობა შეუფერხებლად სწარმოებს. ისიც უნდა იქნეს აღნიშნული, რომ გზების აღდგენა და შესწორება გვიხდება ყოველ ნიაღვრის შემდეგ.

დამშეულ რაჭველების განსაცვიფრებელი ენერგიის წყალობით აღდგენილი და წესრიგში იქნა მოყვანილი სამხედრო-ოსეთის გზა. რომელიც აერთებს ახალი ხიდებით მაზრის მთელ ტერიტორიაზე, რასაც ცხადია უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი დასავლეთ საქართველოსათვის.

ამით არ დაკმაყოფილდა რაჭის აღმასკომი და დაისახა სრულიად ახალი და უძნელესი ამოცანა, ეს არის **მაზრის ელექტროფიკაცია**. ელექტროფიკაცია იმ მაზრისა, რომელსაც ჯერ არ უნახავს არც შინა მრეწველობა, არც ქარხანა და არც რკინის გზა!! მკითხველს ეს გაუკვირდება, მაგრამ ჩვენ ამას მაინც ვაწყობთ. მართლაც, საშინელი დაქანებით მოჰკიდა ხელი ამ საქმეს რაჭის აღმასკომმა, მშრომელ გლეხობასთან ერთად. უკვე ხელთ გვაქვს ბევრი საჭირო მასალა: მიტანილია სოფ. წესში, სადაც უნდა გაიმართოს ელექტრონის სადგური, მთელი კომპლექტი პილტონის ტურბინისა ერთ ღერძზე, ცვალებადი დენის ალტერნატორით 625 კილოვატი, 3000 ვოლტი, 900 ცხენის ძალის. ეს უკვე მნათობია ეკონომიურად ჩამორჩენილ რაჭის მაზრისათვის. მას ექნება ყოველმხრივი მნიშვნელობა არა მარტო ამ მაზრისთვის, არამედ მთელი საბჭოთა ტერიტორიისათვის და მან უნდა მიიზიდოს მწარმოებელი ბუნებით მდიდარ რაჭის მაზრაში.

რაკი შევძელით გვეშოვა ასეთი ძლიერი ტურბინა, ჩვენ დაგვრჩენოდა მხოლოდ შევ დგომოდით შესაფერი ძალის მდინარის გამონახვას. კომისია, რომელშიაც შედის: ჰიდრავლიკი მელიკ ფაშაევი, ინჟ. წვერავა და ინჟ. მჭედლიშვილი, რომლებსაც შეუერთდენ ადგილობრივი ტეხნიკური ძალები, შეუდგნენ გამოკვლევას მდინარე რიონის მიდამოებისას ზემო და ქვემო რაჭაში. გამოკვლეულ იქნა, როგორც მდინარე რიონი, აგრეთვე მასში ჩამდინარი წყლები: ლუხუნი, რიცეული, ჯოჯორი და საკაულა. პროექტის დასრულების შემდეგ რაჭის მშრომელი გლეხობა შეუდგა მუშაობას თავისი ჩვეულებრივი ენერგიით.

მთავრობა კი ვალდებულია გაუწიოს ყოველ მხრივი დახმარება, რაშიდაც ხსენებული მაზრის მცხოვრებლები სრულიად დაიმედებული არიან და რაც კიდევ მეტად წაახალისებს მათ საბჭოთა აღმშენებლობის მუშაობაში.

ა. კობახიძე.

რადიო-დეპეშები

(„კავროსტა“)

გერმანია და ანტანტა.

პუანკარეს ჟინიანობა

ნაუენი. 17 აგვისტო (რადიო). ინგლისის მთავრობამ წინადადება მისცა მოკავშირეებს იმ ვადის განმავლობაში, რომლითაც გერმანიას მორატორიუმი ექნება მიცემული, არ მოსთხოვონ თავიანთ მოვალეებს ვალისა და პროცენტების გადახდა. ეს წინადადება მიიღეს ყველა დელეგაციებმა პუანკარეს გარდა, რომელიც გარანტიებს მოითხოვდა. ამის საპასუხოთ ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ ინგლისი სავსებით კმაყოფილია იმ გარანტიებით, რომელიც შეიმუშავა გარანტიების კომისიამ.

გერმანიის ნოტა.

ნაუენი. 17 აგვისტო (რადიო). გერმანია, მოკავშირეებისადმი მიმართულ ნოტაში აცხადებს, რომ მას შეუძლია შეიტანოს მხოლოდ ნახ. მილიონი გირვანქა სტერლინგი აგვისტოს გადახდის ანგარიშში. მთელი 2 მილიონი გირვ. სტერლ. გადახდა გერმანიას არ შეუძლია, რადგანაც ძალიან დაცემულია მარკის კურსი და ამასთან პურის ფასები კი ზომაზე მეტად აწეულია.

გადასახლება ელზას—ლოტარინგიიდან.

ნაუენი. 17 აგვისტო (რადიო) გაზ. „ჟურნალი დე ჟენევის“ სტრასბურგის კორესპოდენტი, გერმანელების ელზას—ლოტარინგიიდან გადასახლებას, უაზრობას უწოდებს.

იტალიანურ წრეებში.

ბორდო. 17 აგვისტო (რადიო) ლონდონის კონფერენციის მარცხმა არ გამოიწვია გაკვირვება იტალიაში. იტალიის პრესის ცნობით იტალიის პოზიცია დარჩება უცვლელი და ყოველთვის ოპოზიციას გაუწევს გერმანიის საკონტრიბუციო საკითხის დაჩქარებითა და მოუფიქრებლად გადაწყვეტას. გერმანიის მიერ ვალების გადახდის საკითხი არ შეიძლება გადაწყვეტილ იქნას მოკავშირეთა ვალების საკითხის დამოუკიდებლივ.

ბელგია ეთანხმება საფრანგეთს.

ბორდო. 17 აგვისტო (რადიო). გაზ. „პტი ჟურნალის“ ცნობით ფენის, ლონდონიდან წამოსვლის წინ, თათბირი ქონდა ბემელმანსთან მორატორიუმის შესახებ. ფენისმა აცნობა ბემელმანს, რომ იგი მისცემს ინსტრუქციებს საფრანგეთის თვალსაზრისის გაზიარებისა და გერმანიისათვის მორატორიუმის მიცემაზე უარის განცხადების შესახებ. ამ პირობებში, გაზ. „პტი ჟურნალის“ აზრით უეჭველია ის, რომ გერმანიას მორატორიუმს არ მისცემენ.

გართულებული მდგომარეობა.

ბორდო. 17 აგვისტო (რადიო) ბერლინში, გუშინ, კაბინეტი იხილავდა ლონდონის თათბირის მარცხის გამო შექმნილ მდგომარეობას. არავითარი დადგენილება არ ყოფილა მიღებული. საკითხის განხილვა გაგრძელდება დღეს.

არ არის მოსალოდნელი.

ბორდო. 17 აგვისტო (რადიო). საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა. რომ პალატის მოწვევა არ არის მოსალოდნელი.

საკონტრიბუციო კომისიაში.

ბორდო. 17 აგვისტო (რადიო) ფიქრობენ, რომ ხუთშაბათს გაიმართება საკონტრიბუციო კომისიის სხდომა—მორატორიუმის საკითხის შესახებ. „ტანი“ აცხადებს, რომ კომისიის შინაური წესრიგის მიხედვით, ხმის უმრავლესობა ეძლევა საფრანგეთის წარმომადგენელს დიუბუას.

ბელგიის პრესის აზრი.

ბორდო. 17 აგვისტო (რადიო). ბელგიის გაზეთების უმრავლესობა აკრიტიკებს ლოიდ-ჯორჯის პოზიციას და აცხადებს, რომ სწორედ ამ პოზიციამ გამოიწვია ლონდონის თათბირის მარცხი. იმავ ბელგიის პრესის აზრით, ბალფურის ნოტა მოკავშირეთა ვალების შესახებ, არის იგივე უხეში გამოსვლა.

ვინ იყო მიზეზი ლონდონის თათბირის მარცხისა.

ბორდო. 17 აგვისტო (რადიო). გაზეთი „ვესტ-მინისტერ-გაზეთი“ აცხადებს, რომ ბალფურის ნოტა შეიქნა მიზეზი ლონდონის თათბირის მარცხისა.

ძლიერი შთაბეჭდილება.

ბორდო. 17 აგვისტო (რად.). ლონდონში, გერმანიის მარკის კურსის ახალმა დაცემამ, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

საფრანგეთი ემზადება.

ბორდო. 17 აგვისტო (რადიო). ოთხშაბათს საფრანგეთის კაბინეტი იხილავდა იმ ზომებს, რომელიც იქნებიან მიღებულნი საკონტრიბუციო კომისიის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

ვირტის განცხადება.

ბორდო. 17 აგვისტო (რად.). გაზ. „დეილი ქრონიკლის“ თანამშრომელთან ინტერვიუში, კანცლერ ვირტმა განაცხადა, რომ მას კატასტროფიულად მიაჩნია გერმანიისათვის ლონდონის კონფერენციის მარცხი და პროტესტს აცხადებს ელზას—ლოტარინგიიდან გერმანელების გადასახლების შესახებ.

ერთმანეთზე უკეთესი არიან.

ბორდო. 17 აგვისტო (რადიო). ელზას—ლოტარინგიიდან გერმანელების გადასახლების შესახებ გაზ. „ტანი“ აცხადებს, რომ რომელიმე ელზასელს, ან სხვა ვინმეს ჩაედინა ის, რასაც გერმანელები სჩადიან ელზას-ლოტარინგიაში, მაშინ გერმანია არ დაკმაყოფილდებოდა უბრალო წინადადებით, მათი გერმანიიდან გადასახლების შესახებ. შემდეგ გაზეთი მიუთითებს იმაზე, თუ როგორ ექცევა ბავარიის მთავრობა გერმანელ რესპუბლიკანელებს.

საკონტრიბუციო კომისიის სხდომა.

ბორდო. 17 აგვისტო (რადიო) დღეს გაიმართება საკონტრიბუციო კომისიის სხდომა, რომელზედაც გაირჩევა მორიგი საკითხები და მოსმენილ იქნება გერმანიის წარმომადგენლების განცხადება.

მარკის კურსის დაცემა.

ბორდო. 17 აგვისტო (რადიო). გაზ. „ფორვერტსის“ აზრით, გერმანიის მარკის კურსის კატასტროფიულად დაცემის შედეგები იმდენათ სერიოზულია, რომ მათთვის დღეს დღეობით ანგარიშის გაწევა ყოვლად შეუძლებელია. გაზ. „ნიუ-იორკ-ტრიბუნის“ აზრით, ეს კურსის დაცემა ერთგვარათვე სახიფათოა, როგორც თვით გერმანიისათვის, ისე საფრანგეთისათვისაც, რადგანაც საფრანგეთი ვერ შეძლებს, თუ გინდ—სამხედრო ძალითაც კი, აიძულოს გერმანია შეუძლებელის გაკეთება და გადაახდევინოს მას იგი, რისი გადახდაც მას არას გზით არ შეუძლია.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

ნატურ-გადასახადი.

მოსკოვი. 18 აგვისტო (რადიო). **მთელ საბჭოთა ფედერაციაში დაიწყო ნატურ გადასახადის შეკრეფა. ზოგან გლეხებს მოაქვთ გადასახადის პირველი პარტია წითელი დროშებითა და ინტერნაციონალის მღერით.**

დამშეულთა დახმარება.

მოსკოვი 18 აგვისტო (რადიო). სრულიად რუსეთის ცენტ. აღმასკომის დამშეულთა დახმარების მთავარ კომიტეტის სხდომაზე ვინჩენსკამ თავის მოხსენებაში განაცხადა, რომ სახელმწიფო აძლევს დამშეულ გლეხობას 13 ნახ. მილიონ ფ. სათესლე ხორბალს საზამთრო კამპანიისათვის. ხორბალი უკვე განაწილებულია გუბერნიებზე და იგზავნება სადგურებში, ვფიქრობთ რომ კამპანია წარმატებით ჩაივლის და დამთავრდება 15 სექტემბრისათვის. კამენევას ქალმა განაცხადა, რომ მის მიერ მიღებულ ცნობების თანახმად უკვე მიღებულია ზომები რუსეთის დამშეულთათვის საერთაშორისო მუშათა სესხის ასაღებად. დამშეულთა დამხმარე მუშათა საერთაშორისო კომიტეტი გზავნის რუსეთში რამოდენიმე გემს სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, იარაღებით და მედიკამენტებით. 7 აგვისტოს უკვე გამოიგზავნა დიდი 1400 ტონიანი გემი დატვირთული სასოფლო-სამეურნეო ინსტრუმენტებით და სურსათ-სანოვაგით.

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია

ბავარიის შავრაზმელთა შორის.

ბორდო. 17 აგვისტო (რადიო). გაზ. „ფორვერტსი“ აღნიშნავს, რომ მე-15 პოლკის დღესასწაულს ნეიბურეში ქონდა მონარქისტული ხასიათი, რადგანაც პრინც რუპრეხტს მეფურ პატივისცემით ეპყრობოდენ. მან მიიღო პარადი ნაციონალისტების ალფრ-

საქართველო

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ს. ს. ს. რ. ფინანსთა კომისარიატის
დიდი ლატარია
საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ·
პირველი მოგება . . . . . . 500 მილიონი
მეორე „ . . . . . . 100 „
მესამე „ . . . . . . 50 „ და სხ.
ქართული ბონებით
ბილეთი ღირს მხოლოდ 100.000 მან.
კუპონი „ „ 25.000 „
— ხვედრ მოგების მიღება 48 საათში. —
გათამაშება მოხდება თბილისში დეკემბრის 10-ს ა. წ.
მოგებათა დასაფარავად გადადებულია 1.200.000.000 მან. საქ. ბონებით.
ბილეთების შეძენა შეიძლება: ყველა ბანკებში, კავშირებში, კლუბებში, ყველა საკრედიტო, კოოპერატიულ და სხვა დაწესებულებებში.
კრ. 149.
ლატარიის მომწყობი კომისია.
0—1

თოვანებული ყვირილით. ყველა ორატორი ფიცსა სდებდა ვიტენსბახებისა და ძველი იმპერიის დროშის ერთგულებაზე.

მარკის კურსის ხელახლავ დაცემა.

კროიდონი. 17 აგვისტო (რადიო). 17 აგვისტოს დილით კვლავ დაეცა გერმანიის მარკის კურსი, რამაც პარიზის ბირჟაზედაც მოახდინა გავლენა. შუადღისათვის კურსი დავიდა 4,800, მაგრამ ბირჟის დაკეტვის დროს კურსი იყო 4,445.

ინგლისი

განხეთქილების შესაძლებლობა.

ბორდო. 17 აგვისტო (რადიო). მთავრობის გაზეთი „ივნინგ სტანდარტი“ ამბობს, რომ ანტანტაში განხეთქილება არ უნდა მოხდეს და ორივე სახელმწიფო მოღვაწის ვალია, (ალბად ლლოიდ-ჯორჯისა და პუანკარესი) რომ ასეთი რამე არ მოხდეს.

ესეც თითქოს ეკონომიაა.

კროიდონი. 17 აგვისტო (რადიო) ის თანხა, რომელიც დააწესა თემთა პალატამ მეფისა და მისი სასახლის შესანახად შეამცირეს ნახევარი მილიონი გირ. სტ.

საფრანგეთი

პუანკარეს პოზიციის მოწონება.

ბორდო. 17 აგვისტო (რადიო). საფრანგეთის კაბინეთის სხდომაზე პუანკარეს პოზიცია ლონდონის კონფერენციაზე სავსებით მოწონებულ იქნება.

საფრანგეთი და ესტონია.

ბორდო. 17 აგვისტო (რადიო). ესტონიის მინისტრმა პუსტამ განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობამ დაამტკიცა საფრანგეთ-ესტონიის ხელშეკრულება, რომელიც 20 აგვისტოს შევიდა ძალაში ორივე ქვეყანაში.

ესერების პროცესის გამოძახილი.

მოსკოვი 18 აგვისტო (რადიო). ადმინისტრატიული ცენტრის დოკუმენტების გამოქვეყნების გამო, რომლითაც მტკიცდება, რომ ბენეში აწვდიდა ესერებს დიდ თანხებს, გერმანიის კომუნისტური გაზეთი, რომელიც გამოდის პრაგაში, მოითხოვს ბენეშისაგან დამაკმაყოფილებელ განმარტებებს.

ლონდონის კონფერენცია.

მოსკოვი 18 აგვისტო (რადიო). ლონდონის კონფერენციის მარცხმა საფრანგეთში გამოიწვია დიდი მითქმა-მოთქმა. მდგომარეობა სერიოზულია იმ საფრთხის გამო, რომელსაც წარმოადგენდა საფრანგეთის სეპარატიული გამოსვლა.

ამერიკა

რკინისგზელთა გაფიცვა.

ბორდო. 17 აგვისტო (რადიო). იტყობინებიან, რომ რადგანაც პრეზიდენტ გარდინგის შუამავლობამ რკინის გზელთა გაფიცვაში ნაყოფი ვერ მოიტანა, იგი მოიქცევა ისევე, როგორც მოიქცა მემაღაროვეთა გაფიცვის დროს.

მემაღაროვეთა გაფიცვა.

ბორდო. 17 აგვისტო (რადიო). კლივლენდში მოხდა შეთანხმება მაღაროს მუშების ლიდერებსა და მეპატრონეთა შორის. ეს გარემოება გაფიცვის დასრულებას ნიშნავს.

გემი ტანკები.

ნაუენი. 17 აგვისტო (რადიო). „სტანდარტ ოილის“ კომპანია აშენებს 10 გემ-ტანკებს, რომელნიც დაიტევენ თვითეული 15,000 ტონს.

მუშაობის დროებით განახლება.

ნაუენი. 17 აგვისტო (რადიო). მაღაროს მუშათა გაფიცვა დასრულდა. იგი გრძელდებოდა 1 აპრილიდან 15 აგვისტომდე. მუშებმა დროებით, ძველი ხელფასით, განაახლეს მუშაობა.

იტალია

ფაშისტები მხარს უჭერენ რესპუბლიკას.

ბორდო. 17 აგვისტო (რადიო). ფაშისტების მთავარი შტაბი მოთავსებულია ნეაპოლში. აქვე იმყოფება დეპუტატი მუსოლინიც, რომელმაც, განაცხადა, თუ რომელ პოზიციაზე უნდა იდგნენ ფაშისტები, მონარქიისადმი. მუსოლინი თუმცა ფაშისტია, მაგრამ თავი რესპუბლიკანელად მოაქვს და ამბობს, რომ ის მხარს დაუჭერს რესპუბლიკას იტალიაში. ამას წინად ერთ-ერთმა ფაშისტურმა ორგანომ პრესაში განაცხადა: „მონარქიის ციკლი იტალიაში დამთავრდა“. მეორეს მხრივ რაჩიოლი და გარიბალდი—შვილი ილაშქრებენ „რესპუბლიკანელ“ მუსოლინის წინააღმდეგ და მოუწოდებენ ყველა იტალიელებს მხარი დაუჭირონ მეფეს.

მემარცხენეები განაგრძობენ ბრძოლას.

ბორდო. 17 აგვისტო (რადიო). მემარცხენე პარტიები განაგრძობენ მზადებას ფაშისტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

სენატში.

რომი. 17 აგვისტო (რადიო). სენატმა მოისმინა მინისტრების რიჩიო და ფულჩის განმარტება; რომელთაც გაამართლეს თავისი ყოფაქცევა უკანასკნელ ხანებში მომხდარ გაფიცვების დროს. მათ განაცხადეს, რომ წინასწარ იყო გაცემული განკარგულება, გაფიცვებში მონაწილე რკინის გზელებისა და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა დასჯის შესახებ. სენატმა მიიღო ცნობად შინაგან საქმეთა მინისტრის ტადოზის და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განცხადება, რომელთაც გააცნეს სენატი შინაური პოლიტიკის პროგრამას. შემდეგ სენატმა ერთხმად მიიღო მატონის წარმომადგენელი მორიგ საკითხებზე გადასვლის ფორმულა, რომელშიაც გამოთქმულია მთავრობის მოქმედების მოწონება.

გადასახადის გადიდება.

რომი. 17 აგვისტო (რადიო). ოფიციალური პრესსა აქვეყნებს დეკრეტს წარმოების და შაქრის შემოტანის გადასახადის 300 ლირით გადიდების შესახებ.

სტამბოლი.

ბორდო. 17 აგვისტო (რადიო). ლონდონიდან იტყობინებიან, რომ სტამბოლში მოკავშირე ბერძნების წარმომადგენლებმა დასდვეს შეთანხმება ჯარების სადემარკაციო ხაზიდან 10 კილომეტრით უკან დახევის შესახებ. ბერძნების ჯარების უკან დახევა დაიწყო.

ახლო აღმოსავლეთის კონფერენციის გამო.

რომი. 17 აგვისტო (რადიო). მოკავშირეთა უმაღლესმა კომისრებმა კონსტანტინოპოლში გადასწყვიტეს ახლო აღმოსავლეთის საქმეთა წინასწარ კონფერენციის მოწვევის ადგილად აირჩიონ ვენეცია.

ირლანდია

ირლანდიაში.

ბორდო. 17 აგვისტო (რადიო). ლიმერიკიდან იტყობინებიან, რომ მთავრობის ჯარებმა დაიკავეს კილერნი.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ამხ. მდივანი და კვირკელია ჭიათურაში.

შაბათს 12 აგვისტოს, ამხ. ბუდუ მდივანის და კვირკელიას ჭიათურაში მოსვლის გამო გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელზედაც ამხ. ბუდუმ გააკეთა მოხსენება გენუის კონფერენციის შესახებ. მოხსენება მეტად შინაარსიანი, ლამაზი, ეფექტიანი და მნიშვნელოვანი იყო, ხალხი დიდად კმაყოფილი დარჩა. ამხ. ბუდუ და ამხ. კვირკელია საღამოს მატარებლით გაემგზავრენ ხაშურში.

შორაპნის მაზრა.

მაზრაში გაჩნდა საქონლის ჭირი „ხუზარა“. სენი გადაედო ადამიანებსაც. ასეთ ავათმყოფების რიცხვი 15 არის. ავათმყოფობას მწვავე ხასიათი აქვს. იყო შემთხვევა, რომ ექიმებმა დაჩირქიანებული ხელი ავათმყოფს კიდეც მოსჭრეს. სამაზრო აღმასკომი ღებულობს გადამჭრელ ზომებს სენის საწინააღმდეგოთ. საჭიროა ცენტრიდან ექიმებით, წამლებით და მედიკამენტებით დახმარება.

თ.

სომხეთი

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.

პროფკავშირების კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის გასაძლიერებლად, სახ. კომისართა საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად სომხეთის პროფკავშირთა საბჭოს ყოველთვიურად მიეცემა 3 მილიარდი მანეთი საბჭ. ნიშნებით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კულტურულ განმანათლებელ მუშაობის გაძლიერებას და სამაზრო პროფ. ორგანიზაციებს.

მილიციის სტატისტიკა.

ქალაქის სისხლის სამართლის მილიციის ცნობით ივლისის განმავლობაში ერევანში შემთხვევა ჰქონდა ქურდობა—5, მკვლელობა—1, დაჭრა—1, შემთხვევით სიკვდილს—2, გაუპატიურება—1, საქონლის გარეკა—2.

ლტოლვილთა დაბრუნება.

თავრიზიდან ამ დღეებში დაბრუნებული 170 ლტოლვილი განაწილებული არიან კაბარლინის რაიონში.

სისხლის სამართლის მილიცია.

ერევნის აღმასკომთან მოეწყო და მოვალეობის ასრულებას შეუდგა სისხლის სამართლის მილიციის განყოფილება.

ახალ ბაიაზეთის მაზრაში.

შინაგან საქმეთა კომისარიატის ცნობით 1 აგვისტომდე ახალ ბაიაზეთის მაზრაში იყო 108 შემთხვევა შიმშილით სიკვდილისა. გარდაცვალებულ შორის არის 38 მ., 23 ქ და 48 ბავშვი.

მოსამსახურეთა მატერიალური მდგომარეობა.

ვარანინის რაიონიდან იტყობინებიან: აქამდე მოსამსახურეთა მდგომარეობა რაიონში იყო მეტად მძიმე, ღებულობდენ ყოველდღიურად 2 გირ. პურს, ყოველ თვიურად პროდუქტების ულუფას (5 გირ. მარილი, 3 გირ. ლობიო, 3 გირ. ბრინჯი, 6 გირ. სელ. 1 ნახევარი გირ. შაქარი ფხვნილი ან 2 გირ. ქიშმიში) და აგრეთვე მცირეოდენ ჯამაგირს ფულით. უკანასკნელად შტატის შემოკლების შემდეგ მოსამსახურეთა მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. და ამ ჟამად სხვა და სხვა კატეგორიის მოსამსახურეები იღებენ: ფქვილს ერთ ნახევრიდან 3 ფუთ. თვეში, წინანდელ პროდუქტების ულუფას და საგრძნობლად მომატებულ ჯამაგირს თვიურად 6 მილ.—13 მილ. სომხური ფულის ნიშნებით, რომლების ღირებულებამ მოიმატა გადასახადის სისტემის შემოღებისა და შინაგანი ბაზრის პირველ მოთხოვნილების საგნებით გამდიდრების გამო. დიდი საჭიროებაა მოსამსახურეთა კოოპერატივისა. ერთად ერთი კოოპერატივი ეს არის ბარანაში პიკოოკას განყოფილება, საიდანაც საქონლის მიღება შეიძლება მხოლოდ საქონლის გაცვლის ანგარიშზე, რის გამო მოსამსახურეები ვერ სარგებლობენ ხსენებული კოოპერატივით. რაიონებში შენიშნულია დიდი საჭიროება პროფესიონალურ მოწუშავებისა.

მუშათა ცხოვრება

ავჭალის წყალსადენი

აქ მუშებს და მოსამსახურეებს მეტად მძიმე პირობებში გვიხდება მუშაობა. ზოგჯერ წელამდი წყალში ვდგევართ და ისე ვმუშაობთ. საქმეს ართულებს ბინების საკითხის მოუწესრიგებლობა. ყველას ბინაში წყალი ჩამოგვდის. დასვენების მხრივაც ცუდათაა ჩვენი საქმე. მუშაობის ხასიათის გამო შვებულებას იშვიათად იძლევიან. საჭიროა ორი სამი სათადარიგო მუშა იყოლიონ რომ შვებულებაში წასული შეცვალონ.

კულტ. მუშაობა მოისუსტებს. თეატრი მოუწყობელია, სამკითხველო სათანადოთ ვერ მუშაობს. პარტიული მუშაობაც მოდუნებულია. საჭიროა ყურადღება და მუშაობა.

ავჭალელი.

საბჭოთა 1 საპარიკმახერო

ამ საპარიკმახეროს მუშა-მოსამსახურეთა შორის არავითარი კულტმუშაობა არ სწარმოებს. 15 მუშა მუშაობს აქ და ერთი გაზეთიც კი არაა გამოწერილი. ადგილკომი ამის შესახებ არავითარ ღონისძიებას არ ღებულობს. თითქოს მისი საქმე არ იყვეს ასეთი მუშაობის გაწევა. ადგილკომმა უეჭველად უნდა აიძულოს საპარიკმახეროს გამგე, რომ გამოიწეროს ყველა ადგილობრივი გაზეთები და დასდგას ერთი მაგიდა მათთვის. პრ. ეკ. პოლიტიკას მთლად ცალმხრივადაც ნუ გავიგებთ და შემოსავლისა და მოგების გარდა ყველაფერი ნუ დაგვავიწყდება.

გ—ლი.

საჭიროა ყურადღება

ხოლერისა და სხვა გადამდებ სენის გავრცელების „სეზონია“ და საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს სიწმინდისა და სისუფთავის დაცვას.

შოთა რუსთაველის ქუჩაზე მუშათა სასახლის წინ საბჭოთა 1 საპარიკმახეროს გვერდით საშინელი სუნი სდგას. როგორც სჩანს დაბლა სარდაფში რაღაცა ლპება და იხრწნება და სუნიც იქიდან ამოდის. სად არის სანიტარული ინსპექტორი და რისთვის არ შეიხედავს იქ.

მუშა.

ადგილკომის საქმიანობის შესახებ

14 აგვისტოს მე 6-თე სტამბის მუშებს მოხსენება გაუკეთა ამხ. შირიაპოვმა სადაც მოკლედ განიხილა მუშების საჭირბოროტო საკითხები.

ვინაიდან ბეჭვ. წარმ. მუშების ხელშეკრულება ვისგანაც ჯერ არს ახალი მიღებული იყო საზოგადო კრებაზე ადგილკომების კონფერენციის ძალით, ამხ. შირიაპოვს უხდება ახსნა-განმარტების მიცემა.

„ვერტელშიკების“ შესახებ მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ამ უკანასკნელებს მომატება არ მიეცემათ, მიუხედავათ იმისა, რომ თვით „ვერტელშიკებმა“ თითონ შეიტანეს ბეჭდვ. წარმ. პროფკავშირში კოლექტიური თხოვნა, თავიანთი მძიმე მდგომარეობის შესახებ და ითხოვდენ მომატებას.

მე როგორც მახსოვს კონფერენციაზე მიღებულ იქნა ამათ შესახებ შემდეგი დადგენილება: შეთანხმებული კომისია—ადგილკომებთან ერთად თითონ უმატებს ერთ კატეგორიას—თუ რომელიმე მუშა-„ვერტელშიკი“ ცნობილია წარმოებაში განსაკუთრებული მუყაითობისა და მანქანის საჭირო მოვლით, აგრეთვე ეს უკანასკნელი თუ ეხმარება მემანქანეს და ზოგჯერ „დამწყობიც“ არის.

შემდეგ კითხვა იბადება: ექვსს კატეგორიამდე ჯამაგირი რატომ არის გაძლიერებულათ დაკლებული და მერე კი დანარჩენებს ცოტა აკლდება?

ეს საკითხი ბუნდოვანათ რჩება, მხოლოდ ადგილკომის მეორე წევრი ლ ძე ამბობს: მე თვით ციფრების შედარებით ამას ვხედავ, მაგრამ ეს პროცენტულ გამოანგარიშების აუცილებლობა წარმოადგენს ალბად და ყოველ შემთხვევაში მე პირადათ შევეკითხები ამხ. არეშოვს, რომელიც მე ვიცი გარკვევით გიპასუხებთ ამაზედაცაო.

ამხ. ლოლობერიძის წინადადებას, რომ დაარსებულ იქნას „პატარა ფულის კასა“, ამხ. მუშებმა ერთხმად მხარი დაუჭირეს. არჩეულ იქნა ხაზინადრად ამხ. მანდრიცკი.

კულტმუშაობის შესახებ ამხ. ლოლობერიძე ამბობს: ვკრიბავ წიგნებს ყოველნაირს „წიგნის შკაფისათვის“, მხოლოდ გაცემული იქნება საკითხავათ მაშინ, როცა მუშების მიერ არჩეული კომისია ამის ნებას დართავს. სთხოვს ამხანაგებს დახმარებას რაც თავის დროზედ იქნება გაზეთის ფურცლებზე გამოცხადებული.

დასასრულ კრებამ მიიღო რეზოლიუცია შირიაპოვის მიერ წარმოდგენილი, სადაც ნათქვამია: „კრება იწონებს ადგილკომების კონფერენციის მიერ მიღებულ ხელშეკრულებას და იმედს გამოსთქვამს, რომ მუშები კეთილსინდისიერად შეასრულებენ იმას, რაც მათ შეეხება.

დონ დანი.

ელექტრონის სადგური „ამპერი“

ამ სადგურში მუშაობს 18 მუშა. სადგური მეტად კარგ შენობაშია მოთავსებული. კარგად არის მოწყობილი და ნათელი და მშრალი ოთახებიცაა.

მაგრამ აქ მომუშავეთა მდგომარეობა იმ მხრივ არ არის კარგი, რომ თითქმის არც ერთი შრომის კანონი არ სრულდება. არ ტარდება ცხოვრებაში სოციალური დაზღვევის შესახებ კანონი, არ სწარმოებს დამზღვევ კასაში ზღვეულების ფულის შეტანა, არა აქვს ადგილი არავითარ კულტურულ მუშაობას და სხვა.

ადგილკომს მართებს მეტი ფხიზლობა და მეტი ენერგიული მუშაობის გაწევა ყოველივე ამაების მოსაწესრიგებლათ.

ე—ტიკი.

კონსერვების ქარხანა ნავთლუღში.

ეს ქარხანა ეკუთვნის ამიერ-კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებას. ქარხანას რემონტს უშვებიან და ამის გამო იქ მუშა ხელი ძალიან მცირეა. სულ 3 კაცი მუშაობს.

უნდა აღინიშნოს, რომ აქ მომუშავე მუშები მოკლებულნი არიან ყოველგვარ სოციალურ დაზღვევას. ქარხნის ადმინისტრაციას დამზღვევ კასაში არ შეაქვს ზღვეულების ფული. არც გაზეთია გამოწერილი და სხვა კულტურულ ცხოვრებასაც მოკლებულნი ვართ.

საჭიროა ყოველივე ამას ყურადღება მიექცეს და გასწორდეს.

აქაური.

უოფ. ხოშტარიას საპნის ქარხანა

ქარხანაში შრომის კანონების შეუსრულებლობის გამო მუშებს მეტად მძიმე პირობებში გვიხდება მუშაობა. ქარხანა 22 მაისს ინახულა შრომის ინსპექტორმა და ქარხნის ადმინისტრაციას მისცა წინადადება, რომ დაეცვა ყველა შრომის კანონები. ქარხნის ადმინისტრაციამ შრომის ინსპექტორის ამ შენიშვნებს ყურადღება არ მიაქცია. ადგილკომსაც ამ მხრივ არავითარი ღონისძიება არ მიუღია. აქ რომ შრომის ინსპექტორი მეორეჯერ 11 ივლისს მოვიდა და არც ერთი მისი მოთხოვნილება შესრულებული არ დახვდა. ახლა ქარხნის ადმინისტრაციამ ხელწერილი მისცა რომ ორი კვირის განმავლობაში შევასრულებთო. ვნახოთ!

ი—ძე.

ვიწრო ლიანდაგიანი რკ. გზა „სოხუმ-ლესნოი“

აქ მუშაობს სულ 96 კაცი. მუშაობა სწარმოებს სამ ჯგუფათ. მოიჯარადრეთა პირველ ჯგუფში მუშაობს 65 კაცი, საარტელო მეორე ჯგუფში 14 და სარემონტო მესამე ჯგუფში 7.

სამუშაო დრო განუსაზღვრელია. ჩვეულებრივად მუშაობენ 16 საათს. არის შემთხვევები როდესაც შეუწყვეტლათ დღე და ღამის განმავლობაში მუშაობენ. მაგალითად, ორთქლმავლის ბრიგადა. ამ ზედმეტ მუშაობის შესახებ არავისგან არავითარი ნებართვა არ აუღიათ.

გზა გაყავს აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს მუშათა შრომის ხელფასი კავშირების ტარიფზე მცირეა დღიურათ დაქირავებული შავი მუშა ღებულობს 70 ათას მანეთს, საჭმელ-სასმელი მუშისაა. კვალიფიკაციური მუშა 90 ათას მანეთს. პ. ქ. ს. საივისატ. გან. ტარიფით კი შავმა მუშამ უნდა მიიღოს 90 ათასი მან. და კვალიფიკაციურმა 125 ათასი მანეთი. ზედმეტი სამუშაოებიც ასეთივე ტარიფით უნდა იქნას გასტუმრებული. მუშები მუშაობენ ღია ცისქვეშ და არავითარი ბრეზენტი არა აქვთ სიცხასა და წვიმისაგან თავდასაფარავათ. სამკურნალო საქმეც ძალიან მოუწყობელია. მალიარიით ავადმყოფი მუშები იქვე წვანან ღია ცის ქვეშ, არ სწარმოებს არც ზღვეულების ფულის შეტანა.

კავშირებმა და შრომის ინსპექტორმა უკვე მიიღეს სათანადო ზომები და გასცეს განკარგულება, რომ მოეწყოს ორ წყებათ მუშაობა და დაცულ უქნას 8 საათიანი ნორმალური სამუშაო დრო. წინადადება მიეცა რკინის გზის ადმინისტრაციას სხვა დეფექტების გასწორებისაც.

ხ—ლი.

ქრონიკა

◆ **დაჯარიმებულნი არიან** შრომის სახალხო კომისარიატის სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის (სამუშაოზე იმ პირთა მიღებისათვის, რომელნიც არ ითვლებოდნენ სამშენებლო კავშირის წევრად) მოქალაქეები: პერიხანოვა, ოდიაშვილი, მაისურაძე, ნიკოლაიშვილი და აგურის ქარხნის პატრონი გუსეინოვი, თვითეული 5 მილიონით.

◆ **აფერისტის დაკავება.** სისხლის სამართლის მილიციამ დააკავა აფერისტი ლავრენტი ლოლაძე, რომელიც ავადმყოფის სახით დადიოდა ექიმებთან და პირდებოდა ვედრო ღვინის გონორარის მიცემას, რომელიც ვითომდა მოსდიოდა კახეთიდან და თანაც პაშნიკსაც აჩვენებდა მათ. მიიღებდა თუ არა ექიმებისაგან ტიკს, ბოჭკას ან გიზის ქურქელს, მიიმალებოდა. სისხლის სამართლის მილიცია სთხოვს დაზარალებულთ გამოცხადდენ დაკავებულის გამოსაცნობად.

◆ **ბანდიტების დახვრეტა.** 14 აგვისტოს ა. წ. საგანგებო სამეულის კომისიის სხდომის მიერ იქნა გარჩეული ბანდიტების საქმე დგებუაძესი, მიქაძესი და ნებიერიძესი, რომლებმაც გაცარცვეს 9 აგვისტოს ახალციხის გზაზე ბორჯომში მომავალნი მგზავრები ათი ვერსის მოშორებით ბორჯომზე. ყველა მათგანმა თავისი თავი სცნეს დანაშაულათ.

დაადგინეს: 1) აკაკი ნიკოლოზის-ძე დგებუაძე 27 წლისა, ყოფილი აზნაურიშვილი ზუგდიდის მაზრისა, უპროფესსიო დაისაჯოს **უმაღლეს სასჯელით დახვრეტით,** პირადი მის ქონებას ექნება კონფისკაცია.

2) ბესარიონ გიორგის-ძე მიქაძე 28 წლისა, ყოფილი ოფიცერი, უპროფესიო, ბანდიტთა ხელმძღვანელი, დაისაჯოს **უმაღლესი სასჯელით დახვრეტით,** პირად მის ქონებას ექნეს კონფისკაცია.

3) შალიკო ალექსანდრეს ძე ნებიერიძე 19 წლისა, ყოფილ გლეხი, დაისაჯოს **უმაღლესი სასჯელი დახვრეტით.** მაგრამ რათა უკანასკნელი არის მცირე წლოვან, აგრეთვე მისაღებია მხედველობაში მისი სოციალური მდგომარეობა და ისიც, რომ აღნიშნული მის მიერ ჩადენილი დანაშაულობა პირველია, მას ნებიერიძეს შეეცვალოს დახვრეტა ხუთი წლის ციხით.

დაკავებული ზემოთ აღნიშნული საქმეზე, თამარა ნიკოლოზის ასული სარალიძე 25 წ. დაფარისათვის გაცარცული ნივთებისა დაისაჯოს ერთი წლის ციხით.

განაჩენი დგებუაძეზე და მიქაძეზე იქნა მოყვანილი სისრულეში ღამით 15 აგვისტოს ქ. ბორჯომში.

◆ **გერმანელ მასწავლებელთა კონფერენცია.** აგვისტოს პირველ რიცხვებში კოლონია ელიზავეტაში გაიმართა გერმანელ მასწავლებლების ყრილობა. მოხსენებებს შორის რომელიც კონფერენციამ მოისმინა, მოსმენილ იქმნა მასწავლებელ რიბის მოხსენება შრომის სკოლის და მისი მნიშვნელობის შესახებ კირმონშტეინის მეთოდით აღზრდის საქმეში. შემდეგ კონფერენციაზე დადგენილი იქნა მოისმინონ მოხსენება შრომის სკოლის მნიშვნელობის შესახებ ბინსკის მეთოდის თანახმად. შემდეგი კონფერენცია მოწვეული იქნება მარიენფელდში.

◆ **კერძო სამკურნალო დაწესებულებანი.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის საორგანიზაციო განყოფილება იმუშავებს დებულების პროექტს კერძო სამკურნალო დაწესებულებათა გახსნის წესების შესახებ.

საფუძვლად დებულებას დაედო რუსეთში არსებული წესები. შემუშავების შემდეგ პროექტი წარედგინება ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის კოლეგიას.

◆ **მკვლელობა.** 17 აგვისტოს ღამით, ელისაბედის და მილიუტინის ქ. კუთხეში გაისმა რამდენიმე სროლის ხმა. გამვლელებმა და მილიციონერებმა, რომელნიც მოგროვდენ სროლის ადგილას დაინახეს ქვაფენილზე გასისხლიანებული გვამი. მასთან აღმოჩენილ დოკუმენტების თანახმად გამორკვეული იყო, რომ მოკლულია მოქ. ელიოზიშვილი, რომელიც წინად იყო მუშათა ცენტრალურ კლუბის თანამშრომელი. მკვლელი რომელიც შეეცა და ახლო მდებარე ეზოში დამალვას, შეპყრობილ და განიარაღებულ იქნა. უკანასკნელი აღმოჩნდა მუშათა ცენტრალური კლუბის ყოფილი გამგე მოქ. ლუკიანოვი, რომელიც დათხოვნილი იქნა სამსახურიდან. ფიქრობენ, რომ მკვლელობა რომანიულ ნიადაგზე მოხდა.

◆ **აფერისტის დაკავება.** სისხლის სამართლის მილიცია აცხადებს, რომ აფერისტი, რომელიც სხვა და სხვა პირებს და დაწესებულებებს სტყუებდა ფულებს და პირდებოდა ამერიკულ კომიტეტიდან დაკლებულ ფასებში სხვა და სხვა პროდუქტების გამოტანას, და რომელიც უწოდებდა თავის თავს ამერიკულ კომიტეტის რევიზორს და მთავარ რწმუნებულის თანაშემწეს კოვალიოვს, ვარდანოვს, ალიხანოვს, ზოლოტარიოვს და სხვა, ნამდვილად აღმოჩნდა მაჟან ლაზარეს ძე აპიანცი—დაკავებულია და იმყოფება სისხლის სამართლის მილიციის ზედამხედველობის ქვეშ. სისხლის სამართლის მილიცია იწვევს ყველა შეცდომაში შეყვანილ პირებს, ვისთანაც აფერისტს ქონდა საქმე, გამოცხადდენ სისხლის სამართლის მილიციაში (განოვის ქ. № 12) სათანადო განცხადების წარმოსადგენად და აფერისტის გამოსაცნობად.

◆ **ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ადგილობრივ ორგანოების დებულება.** როგორც იტყობინებიან ჯანმრთელობის სახ. კომისარიატში შემოტანილი მოხსენებები ადგილებიდან ხატავენ ჯანმრთელობის ადგილობრივ ორგანოების მეტად მძიმე მდგომარეობას რესურსებისა და საშუალებათა უქონლობის გამო. ჯანმრთელობის განყოფილებანი მიმართავენ წარმოებათა გახსნას ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლებზე, ხსნიან დუქნებს, მონაწილეობას იღებენ კოოპერატივებში და სხვ. სა·

ქიმო შემადგენლობა არ იღებს ულუფას და ჯამაგირს.

◆ **ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა ამიერ კავკასიის ყრილობისათვის** საორგანიზაციო კომისიამ დაადგინა თბილისში—სექტემბრის ბოლო რიცხვებში მოიწვიოს ყრილობა. მოწყობილ იქნეს სამი სექცია: 1) დედებისა და ბავშვების დაცვის სექცია, 2) ბავშვთა ჯანმრთელობის სექცია, ქვესექციებით: ა) სასკოლო ჰასაკისა და ბ) სასკოლო ჰასაკამდე და გ) სოციალურ საზოპადოებრივ საკითხების სექცია. თბილისს აქვს დათმობილი 28 დელეგატის ადგილი.

◆ **უცხოეთის ვალიუტის კურსის აწევა.** თბილისი 18 აგვისტოს, კომერციულ წრეებში უცხოეთის ვალიუტის კურსის აწევა აიხსნება ბათომში საქონლით დატვირთულ რამოდენიმე გემის მოსვლით, და აგრეთვე საბერძნეთის კონფლიქტის დამთავრებით. უცხოეთის ვალიუტის კურსის აწევის გამო ფასები შაქარზე და ბიაზზე შესამჩნევად გაიზარდა. ფასი ამერიკულ ფქვილ „ამაზონზე“ უცვლელია, „ნელსონზე“ ცოტაოდნათ მომატება—აიხსნება ამერიკულ ფქვილზე სუსტი მოთხოვნილებით. ცოტათი გაიაფდა ხორბალი.

პარტიული ცხოვრება

პარტიული მუშაობის გასაცხოველებლად, იაჩეიკების მოქმედების შესამოწმებლად და მათ მუშაობაში ნაკლულევანებათა და დეფექტების გამოსარკვევად, საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტმა დაადგინა მოაწყოს იაჩეიკების გადასინჯვის კვირა, რაც უნდა დაწყებულ იქნას 21 აგვისტოს და დამთავრდეს ერთი კვირის განმავლობაში შემდეგი წესის დაცვით:

1) კამპანიის ჩატარების დროს გაუქმებულია ერთიანი პარტიული დღე.

2) გადასინჯვის კვირაში უნდა მოხდეს მდივნების, იაჩეიკების და რაიონების დელეგატთა კრებაზე დელეგატების ხელახალი არჩევნები.

3) იაჩეიკის ყოველ სხდომაზე გადასინჯვის კვირაში სავალდებულოა რაიკომის წარმომადგენლის დასწრება.

4) იაჩეიკების სხდომის დღის წესრიგში დასმული უნდა იქნეს შემდეგი საკითხები:

ა) იაჩეიკების ბიუროს მუშაობის ანგარიში.

ბ) საორგანიზაციო ანკეტის გარჩევა.

გ) ბიუროს და სარაიონო დელეგატთა კრებებზე დელეგატების ხელახალი არჩევნები.

დამატებითი საკითხები შეიძლება წამოყენებულ იქნას თვით რაიკომების მიერ.

5) კამპანიის გატარების წინ უნდა იქნეს მოწვეული იაჩეიკების მდივნების სარაიონო კრებები მიმაგრებულ ამხანაგების თანდასწრებით საინსტრუქტორო მოხსენების მოსასმენად.

6) გადასინჯვის კვირის ბოლოში რაიკომების მდივნებს ევალებათ საერთო და დელეგატების კრებებზე გააკეთონ მოხსენება იაჩეიკების გადასინჯვის შედეგების შესახებ.

7) გადასინჯვის დროს უნდა შემოწმებულ იქნეს თვითეული მომხსენებელი ამხანაგის მუშაობა და თვისი მოსაზრებანი წარუდგინოს თბილისის კომიტეტს.

იაჩეიკების გადასინჯვა უნდა დამთავრდეს ერთი კვირის განმავლობაში და გადასინჯვის შედეგები საორგანიზაციო ანკეტებთან ერთად დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გადაგზავნილი თბილისის კომიტეტში.

თბილისის კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი **კახიანი.**

საორგანიზაციო განყოფილების გამგე **რუბენი.**

პროვინციაში

ერკეთი.

(გურია).

ს. ერკეთში არსებობს კოოპერატივი, სამკითხველო, შრომის რვა კლასიანი სკოლა, საფერშლო პუნქტი ტელეფონი, ადმინისტრატიული დაწესებულება, აქვე არსებობს ლიტერატურული წრე, არსებობს ძველი დრამატიული დასი, რომელიც სისტემატიურად ჰმართავს წარმოდგენებს. ამ დასმა ექვსი წლის წინათ დაისახა მიზნათ სახალხო სახლის აგება ამავე თემის ცენტრში და კიდეც შეიძინა თეატრისათვის საჭირო ინვენტარი.

თეატრის აშენების აზრს დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი. ამ თემის საზოგადოებამ აირჩია „სახალხო სახლის მომწყობი კომისია“, რომელმაც დაგზავნა მოწოდებები ყველა საზოგადო დაწესებულებებში და არტელებში, რათა მათ გაეღოთ თავიანთი წვლილი ასეთ ფრიად სიმპატიურ-კულტურულ დაწესებულებისათვის.

თბილისის რკინის გზის „მუშა-კომუნა“-ს გამგეობამ გადასდო ამ დაწესებულებისათვის დასახმარებლად 40.000.000 მანეთი.

ამ ნაბიჯს გამოეხმაურა ერკეთის თემის პაწია კუთხე „ეწერი“, რომელმაც გაგზავნა მოწოდება ამავე არტელში, რათა სახალხო სახლი აეგოთ ერკეთის თემის განაპირა „ეწერში“. ჩავარდა რა არტელის გამგეობა უხერხულ მდგომარეობაში, ფულის გადაცემა ჩვენს რწმუნებულ იაგორ კალანდაძეზე შეაჩერა შემდეგი წინადადებით: „ჯერ ამოირჩიოს სახალხო სახლის ცენტრი საზოგადო ყრილობამ და შემდეგ კი მიიღებთ ჩვენ მიერ გაღებულ დახმარებას“-ო.

ამ მიზნით სამშაბათს 7 აგვისტოს შესდგა ერკეთის თემის მრავალ-რიცხოვანი ყრილობა, რომელმაც ხანგრძლივი სჯა-ბაასის შემდეგ დაადგინა:

„მოვისმინეთ რა მოხსენება ერკეთის სახალხო სახლის ცენტრის საკითხის შესახებ, ჩვენ ერკეთის თემის მცხოვრებთა კრება როგორც ყოველთვის, დღესაც აღფრთოვანებით ვეგებებით სახალხო სახლის აგებას და მის ერთად ერთ ცენტრად მიგვაჩნია ის ადგილი. სადაც არსებობს, როგორც ადმინისტრატიული, ისე კულტურული დაწესებულებანი ამა თემისა; ამასთანავე უღრმეს მადლობას უცხადებთ „მუშა-კომუნა“-ს არტელის გამგეობას, რომელმაც მუშურ-პროლეტარულ სალაროდგან გადასდო ამ ფრიად კულტურულ სიმპატიურ დაწესებულებისათვის დასახმარებლად ორმოცი მილიონი მანეთი და ვსთხოვთ ზემოხსენებულ გამგეობას ხსენებული მის მიერ გაღებული დახმარება დაჩქარებით გადასცეს ჩვენს რწმუნებულ იაგორ მარკოზის ძე კალანდაძეს“.

ხევი.

—

გ ო რ ი.

16 აგვისტო. ფასი პურზე და ხორბალზე მტკიცეა. საუკეთესო ხორბალი 140.000 მან., საშუალო 130.000 მ. და მდარე 110.000 მ. ფუთი; ქერი 70.000 მ. ფუთი. კარგი კართოფილი 40.000 მ. ფუთი; სიმინდი ჯერ კიდევ არ არის. ლობიოს ფასმა საგრძნობლად დაიწია; თეთრი, ახალი, ვენახისა 65.000 მ. ფუთი, ჭრელი, ვენახისა,—70.000 მ., მინდვრისა ჯერ არ არის. მწვანე ლობიო პარკში 60.000 მ. ნიორმა საზოგადოთ ძლიერ აიწია—250,000 მ. ფუთი. წითელი პამიდორი რჩეული, კარგი 50.000 მ. ფუთი, კიტრი 100 ცალი—30.000 მანეთი, მწვანე წიწაკა 140.000 მ. ფუთი. ხილეულობა – ზაფხულის ვაშლი მსხვილი 40,000 მ. ფუთი, წვრილი, ნაქარ-ნარეკი 20,000 მ. ფუთი, კარგი 60,000 მ. ყველი 23.000 მ. გირვანქა, ერბო 50,000 მ., კარაქი 40,000 მან., კვერცხი 250,000 მან. 100 ცალი.

გ. ბიბილაშვილი.

წერილები რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ დაბეჭდოთ თქვენს გაზეთში შემდეგი:

ყოფილი მენშევიკი, სადგურ კაპიტნარში 2 უბნის და მე 15 საოსტატო ლიანდაგის უფროსი მუშა ლუარსაბ ფხაკაძე ვაცხადებ, რომ, ვინაიდან დავინახე საბჭოთა მთავრობის ენერგიული მუშაობა საწყალი ხალხის სასარგებლოთ და სიმართლე კომუნისტური პარტიისა, მსურველი ვარ ვიმუშაო მეც კომუნისტურ პარტიაში. და ერთგულათ გაუწიო დახმარება საბჭოთა მთავრობას.

ლუარსაბ ფხაკაძე.

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ მოათავსოთ კომუნისტში ეს წერილი:

მე ვმუშაობდი კანტორაში სადგურ სამტრედიაში და ვირიცხებოდი მენშევიკურ პარტიაში. ეხლა მე ვსტოვებ ამ პარტიას და ვხდები თანამგრძნობი კომუნისტურ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლებისა, რომლებიც იბრძვიან მთელი ქვეყნის მუშების საკეთილდღეოთ.

დომენტი ამბაკოსძე მუჯირი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი.

დადგენილება № 44.

საქართველოს სოც. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

პურეულზე დადებულ მევახშურ ხელშეკრულებათა გაუქმების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო, სცნობს რა აუცილებელ საჭიროებად, რათა მიწის მომუშავე მოსახლეობა განთავისუფლებულ იქნეს მის მიერ,—გაჭირვების ზეგავლენით,—პურეულზე დადებულ მევახშურ ხელშეკრულებათა ასრულებისაგან,—ადგენს:

1. გამოცხადდეს გაუქმებულად ყველი ხელშეკრულება, რომლის ძალითაც სესხად მიცემული ხორბლეულობა უნდა დაებრუნოს სესხის მიმცემს იმ რაოდენობით, რაც თვით სესხს აღემატება 25 პროც. უმეტესს.

შენიშვნა: ამა მუხლში აღნიშნული ყველა ხელშეკრულება გაუქმებულ უნდა იქნეს მიუხედავათ იმისა თუ რა ფორმით იქნება იგი დადებული.

2. ამა დადგენილების პირველი მუხლის თანახმად გაუქმებული ყველა ხელშეკრულებით მხარე, რომელსაც სესხი მიუღია ვალდებულია დაუბრუნოს იგი სესხის მიმცემს იმ რაოდენობით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს პირველი მუხლით გათვალისწინებულს.

3. სესხის მიმცემი, რომელიც მოითხოვს მევახშურ ხელშეკრულების შესრულებას, ან მოვალეს გადაახდევინებს წინა მუხლით გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტს, მიიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, როგორც მევახშეობისათვის.

4. დადგენილება ესე ვალდებულ მხარეს არ ართმევს უფლებას მიმართოს სასამართლოს თხოვნით ხელშეკრულების გაუქმების შესახებ.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.—

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1922 წ. აგვისტოს 17.

თბილისი—სასახლე.

პარტიული

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზატიის მე-IV რაიკომი აცხადებს, რომ დღეს 19 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, რაიკომის ბინაზე შესდგება კომიაჩეიკების მდივანთა და პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა

სასწრაფო სხდომა

ყველა ამხანაგების გამოცხადება პარტიულ დისციპლინის წესით სავალდებულოა.

1—1

IV რაიკომის მდივანი **ამახი.**

პროფესიონალური

სამშაბათს, 22 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში შესდგება

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგი:

1) მოხსენება პროფკავშირთა ამიერ-კავკასიის თათბირის შესახებ.
2) მუშური პრესის შესახებ.
3) საბინაო საკითხის შესახებ.

ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

საქართ. პროფკავშირთა საბჭოს მდივანი.

სარედაქციო კოლეგია.

უბედური მშობლები რაჟდენ იოსების ძე კანდელაკი და ლიზა ლუკას ასული კანდელაკისა, ბიძა საშა კანდელაკი, ბიცოლა ვარო მიხეილის ასული, მამიდები პატული ყენიასი და იულია კანდელაკი, ბებია თეკლე იოანეს ასული, სიძე ასლან ყენია უცხადებენ თავიანთ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 16 ამა აგვისტოს ქ. ტფილისში ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი უძვირფასესი

ქეთო რაჟდენის ასული კანდელაკი

რომლის დაკრძალვა დანიშნულია კვირას 20 აგვისტოს, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. გამოსვენება იმავე დღეს საღამოს 5 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 ს., რეუტოვის ქ. № 31.

(1—1)

კვირას, 20 აგვისტოს, დილის 10 საათზე, დანიშნულია თბილისის მთლიანი მუშათა კოოპერატივის

რწმუნებულთა ყრილობა

დღიური წესრიგი:

1. გამგეობის მოხსენება,
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება,
3. გამგეობის და სარევიზიო კომისიის ინსტრუქციების დამტკიცება
4. ხარჯთ-აღრიცხვა,
5. მიმდინარე საქმეები.

1—1

განცხადება

სამხედრო საპორტო სკოლამ დაჰკარგა სახალხო სამხედრო საზღვაო კომისარიატის შტაბის მომარაგების განყოფილების მიცემული ჩეკის წიგნი № 6, რომელიც 12 აგვისტოდან ჰკარგავს ძალას და უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. მპოვნელმა ხსენებული ჩეკის წიგნაკი უნდა წარმოადგინოს სამხედრო კომისარიატის შტაბის მომარაგების განყოფილებაში (რუსთველის ქუჩა №. 21)

№ 171 კრ. 3—1

განცხადება

მიწათ-მოქმედების კომისარიატის სახალხო მამულების ქვე-განყოფილება ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისში ქვე-განყოფილების სადგომში (რუსთველის პროსპექტი, ყოფილი კადეტთა კორპუსი) პარასკევს 25 მარიამობისთვეს 12 საათზედ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა შემდეგი სახალხო მამულების იჯარით გაცემაზე:

1. **ზედობანი** (მიხეილ ნაკაშიძის ყოფილი მამული სოფ. ზედობანში), ოზურგეთის მაზრაში: 4 დეს. დაბლარი ვენახი, 2 ხეხილის ბაღი, 10 ჩაის პლანტაცია, 20 სახნავი და სხვა სულ 67 დესეტინა.

2. **ბეთანია-აკურიხი** (ბარონ ნიკოლაის ყოფილი მამული კოჯორის ახლო), თბილისის მაზრაში: 30 დეს. ხეხილის ბაღი, 32 დეს. სათიბი, 5 დეს. სახნავი და სხვა სულ 170 დესეტინა.

პირობების გაგება შეიძლება სახალო მამულების ქვე-განყოფილების კანცელარიაში საქმის დღეს დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

164 კრ. 1—2

იულიტა იობის ასული დეკანოზოვა ამით აცხადებს, რომ მან დაჰკარგა თბილისის დედათა ეპარქიალური სასწავლებლიდან მიღებული ატესტატი 1907 წელს № 320 და დაბადების მოწმობა. გთხოვთ ჩაითვალოს გაუქმებულად. იულიტა იობის ასული დეკანოზოვა. (256—3—1)

ქალ. ტფილისის აღმასკომის გადასახადთა ბიურო

ამით აცხადებს, რომ ორშაბათს, 21 აგვისტოს დღის 12 საათზედ აღმასკომის დარბაზში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სასწორზედ, მდებარე მალაკნის მოედანზედ. პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროში მე-50 ოთახში საიჯარო მაგიდის გამგესთან გ. დარახველიძესთან.

2—2

გაზეთის ტრესტის პროვინციალურ კონტრ-აგენტების

საყურადღებოთ

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ ზოგიერთი კონტრ-აგენტები აჩერებენ 2—3 დღეს გაზეთებს, რომლებიც მათი საშუალებით ეგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკომებს და სხვ. გაცნობებთ, რომ გაზეთების შეჩერება დაუშვებელია. კონტრ-აგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში, დაუყონებლივ დაჰკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიიცემა პასუხისგებაში. (0—4)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.

(25—16)

დაჰკარგე

მოწმობა მე-14 ტეხნიკუმის 1922 წ. 6 აგვისტოს ნინო გიორგის ასული მათიაშვილის სახელზე (250—3—3)

განცხადება

აღმოსავლეთ საქართ. რევტრიბუნალი

წინადადებას აძლევს ყველა დაწესებულებათ და ადმინისტრაციას წარმოუდგინოს მას კოლია შახნაზაროვი და ივანე გოგიტიშვილი თუ კი იცის სად იმყოფება ის ამ ჟამად.

აღმოსავლეთ საქართ. რევტრიბუნალის თავმჯდომარის მაგიერ: **გ. ბერბერაშვილი.**

კრ. 178. 3—1

სექტემბრის და იანვრის გამოცდებზე

მათემატიკაში, ენებში და სხვა საგნებში, ამზადებენ სასწრაფოთ ტეხნიკუმის 1, 2, 3, 4 კლასში შესასვლელად. პლეხანოვის და ალექსის ქუჩის ქუთხე № 25 და 5. ნახვა 9.—12. 3—7.

P. S. აქვე იყიდება. როიალი იაფად. (252—3—2)

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. რკინის გზების სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 20 აგვისტოს ამა წლის 12 საათზე სამმართველოს შენობაში დანიშნულია შეჯიბრება ბუფეტების, ვაგონ-რესტორანის, სავაჭრო ფარდულების და საპირფარეშოების იჯარით გაცემაზე შემდეგ სადგურებზე:

ბუფეტები სადგურზე: შორაპანი, ინჩხას და ზესტაფონში (I და II კლ.) ვაგონ-რესტორანი № 16, მიმომსვლელი მატარებლებით № 5 და 6 ბაქო—ბათუმს შუა.

სავაჭრო ფარდული: სადგურ ამამლოში.

საპირფარეშოები: სადგურებ—ხაჩმას და სადახლოში.

განცხადებები, სალერბო გადასახადით განაღდებულნი 10.000 მ. რაოდენობით, უნდა შეტანილ იქნან დახურულ კონვერტებში წარწერით: ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოს საბჭოში ოც აგვისტოს შეჯიბრებისათვის. განცხადებას უნდა დაერთოს კვიტანციები საწინდარის შეტანის შესახებ რაოდენობით: ბუფეტებისა და რესტორანისათვის 1.000.000. მან., სავაჭრო ფარდულებისათვის 200.000 მან. და საპირფარეშოებისათვის—100.000 მან.

დაწვრილებით ცნობების გაგება შეჯიბრების შესახებ შეიძლება ეკონომიურ დარგის კომერციულ ნაწილში მუდამ დღიურათ 10 საათიდან 2 საათამდე დღისა, კვირა უქმეების გარდა.

(157—4—8)

გაზეთის ტრესტის მთავარ

კანტორისაგან

რათა არ იქნეს შეწყვეტილი გაზეთების გზავნა, გაზეთის ტრესტის მთავარი კანტორა სთხოვს ხელის მომწერლებს თავის დროზე იზრუნონ ხელის მოწერის განახლებაზე.

ხელის მოწერა მიიღება თბილისის ყველა გაზეთებზე ხელის მოწერის ფასი ძველია. ხელის მოწერა მიიღება რამდენიმე თვისაც ამა წლის დასასრულამდე.

გაფრთხილება: ხელის მომწერლებს, რომლებიც არ შემოიტანენ მომავალ თვის პირველამდე აგვისტოს ხელის მოწერის ფასს, ან არ დაფარავენ თავიანთ ვალების ვალდებულებას, გაზეთები აღარ გაეგზავნება,

(0—24)

ამ წლის 10 სექტემბერს

იხსნება

ს. ს. ს. რ. **განათლების კომისარიატის** პროფ განათლ. მთავ. მმართველობის გამგებლობაში მყოფი

ქართული საბუღალტრო კურსები გიორგი მუმლაძის

მსმენელთა ჩაწერა შეიძლება დღეიდანვე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კურსების გამგესთან ყოველ დღე:

1. საქართველოს კოოპერატიულ ბანკში—თბილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 11. დღის 10—12 საათამდე.
2. თბილისი, წყნეთის ქ. № 29, საღამოს 5—6 საათამდე.

(140—3—3).

ბინით სარგებლობის კანონი

გამოცემულია ცალკე ბროშიურებათ და ამ დღეებში გაიყიდება ყველა უკანასკნელი, ამ ჟამად მომქმედი დეკრეტები და დადგენილებანი საბინაო საკითხის შესახებ, აგრეთვე დადგენილება

კომუნალურ სამსახურზე.

ქირის შემოღების შესახებ.

ბინით სარგებლობის კანონი გაიყიდება გაზეთის ტრესტის კანტორა-(რუსთაველის პრ. № 24). და ყველა გაზეთის გამყიდველებთა.

თითო ეგზემპლიარი ეღირება 20 ათასი მანეთი.

(0—16)

ღვინის სარდაფი

ქირავდება

რუსთაველის პროსპექტის და ჭავჭავაძის ქუჩის კუთხეში.

პირობების გაგება იქვე მუშათა და გლეხთა ინსპექციის სამეურნეო ნაწილის გამგესთან. (163—0—2)

ამონაწერი

ქალ. აღმასრულებელი კომიტეტის ვერის ბორანისათვის შემუშავებულ კონდიციიდან.

11. ქალ. აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით კონდიციის ძალით ვერის ბორანის მოიჯარადრე გამსვლელს ახდევინებს 5.000 მანეთს გასვლა-გამოსვლაში.

12. მოიჯარადრე ვალდებულია განთავისუფლებულ გადასახადისაგან მილიციონერი, წითელ არმიელებიდან კი მარტო ჯარის-კაცები.

1) **შენიშვნა:** თუ გამსვლელი არ [illegible] ერთი დღის განმავლობაში გამსვლელს ფული არ უბრუნდება და ის 5.000 მანეთს ერთ გამოსვლაზე [illegible].

2) **შენიშვნა:** ღამის 10 საათიდან ქირის გადახდევინება მოხდება შეთანხმებით, დილის 6 საათამდე.

აღმასრულებელი კომიტეტის გადასახადთა ბიუროს გამგე

[illegible] მაგიერი გამგე.

(130—6—5)

საქ. კომუნისტურ ახალგაზრდობის ფურცელი № 45

ორგანო საქართველოს ახალ. კომუნ. კავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტისა.

ამიერ-კავკასიის ახალგაზრდათა კომკავშირის მეორე ყრილობა

8 სექტემბერს ქალ. ტფილისში გაიხსნება ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ამიერ-კავკასიის მეორე ყრილობა, რომელიც უდიდეს როლს შეასრულებს კომკავშირის განვითარებისათვის, მუშაობის ახალი მეთოდის გამოძებნით.

მეორე ყრილობის წინაშე სდგას გადასაჭრელათ ფრიად სერიოზული კითხვები. ერთი წლის განმავლობაში წარმოებული მუშაობის გულდასმით განხილვა შესაძლებლათ გახდის სისწორით განისაზღვროს კავშირის მუშაობის ახალი კურსი.

ამიტომ, ყრილობის დღიური წესრიგიდან უმთავრესად ყურადღებას მიიპყრობს ის თუ როგორ გატარდა ცხოვრებაში წინა ყრილობათა დადგენილებანი და ამიერ კავკასიის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ახალ პირობებში მუშაობა.

კომკავშირის მუშაობის მთავარი ამოცანა მდგომარეობს მუშათა ახალგაზრდობის შემოკრებაში კომუნისტური დროშის გარშემო.

ჯერ ორგანიზაციულად გაერთიანება ახალგაზრდობის ყველაზედ უფრო მოწინავე ელემენტებისა, მათი აღზრდა პოლიტიკურად და კულტურულად, მიწოდება და შეთვისება მარქსისტული მოძღვრების. ამიტომ კავშირი თავიდანვე ცდილობდა თავიდან აეცილებია ორგანიზაციის გაბერვა ე. ი. მისი წევრთა რიცხვის სწრაფი ზრდა.

ჯერ კიდევ პირველ ყრილობაზე აღინიშნა ორგანიზაციის წევრთა რიცხვის სწრაფი ზრდა. მაშინ კავშირში ითვლებოდა 40.000 წევრი. მუშათა ახალგაზრდობის ეს მასიური ლტოლვა კომუნისტური ორგანიზაციაში, რასაკვირველია აიხსნება იმ ხელსაყრელ პირობებით და რევოლიუციონურ ორგანიზაციაში მუშაობის შესაძლებლობით, რომელიც მოჰყვა ამიერ კავკასიის გასაბჭოებას.

ისეთი ძლიერი შეიქნა ახალგაზრდობის ლტოლვა კომკავშირისაკენ, რომ ეს უკანასკნელი თავისი მუშაობით ვერ ასწრებდა მოევლო ამ მასსისათვის, მიეწოდებინა მათთვის ცოდნა.

ეს კი გამოიწვევდა შემდეგში ორგანიზაციის წევრთა შორის საერთო ინდიფერენტიზმს ახალგაზრდათა კომუნისტურ მოძრაობისადმი. ამიტომ საჭირო იყო არ დაეშვა კავშირის გაფართოება მის თვისების ხარჯზე.

რამდენადაც მცირედი იქნებოდა ორგანიზაციის წევრთა რიცხვი, იმდენად მეტი შესაძლებლობა ექნებოდა კომკავშირს, თავისი ძალებით ეხელმძღვანელებია ორგანიზაციისათვის, მჭიდროთ შეეკავშირებია ორგანიზაციაში და მიეწოდებინა პოლიტიკური განათლება, აემაღლებია მისი ცოდნა. ასეთმა მდგომარეობამ პირველ ყრილობის შემდეგ, კავშირის მუშაობის მთავარ ამოცანათ წამოაყენა ისეთი დიდი კამპანიის გატარება, როგორიც იყო ორგანიზაციის ზედმეტ ელემენტებისაგან გაწმენდა. გაწმენდას, რომელიც ტარდებოდა მთელი ზამთრის განმავლობაში, საზოგადოთ იმ პერიოდში, როდესაც შეიძლება აღზრდილობითი მუშაობა აწარმოოს კომკავშირმა, არ შეიძლებოდა თავისი დაღი არ დაესვა პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობისათვის, რადგან ეს საუკეთესო დრო მოხმარდა გაწმენდის კამპანიას. ამით აიხსნება რომ ამიერ კავკასიის ორგანიზაციების მუშაობის ყველაზედ უფრო სუსტი მხარე, დღემდისაც, არის პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობის ჩამორჩენა.

მაგრამ ორგანიზაციების გაწმენდის მეოხებით მთავარი პრაქტიკული ნაბიჯები მაინც გადაიდგა. 40 000 წევრიდან, გაწმენდის შემდეგ კავშირში დარჩა 22 000 წევრი.

ასეთი მდგომარეობა ჰქმნის შესაძლებლობას პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობის წარმოებისას უფრო ფართო მასშტაბით, კომკავშირის თვისების უფრო ამაღლებით და განვითარებით; გაძლიერდეს მისი პოლიტიკური და იდეური გავლენით მუშათა ახალგაზრდობის ფართო მასაზედ.

ამიტომ ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების მეორე ყრილობა გაუკეთებს ანალიზს ამ განვლილ მუშაობას, გამოიმუშავებს შინაარსიით მდიდარ მეთოდებს პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობისას მომავალ ზამთრის განმავლობაში მუშაობის სახელმძღვანელოდ, რადგან ეს დრო ყველაზედ უფრო ხელსაყრელია მშრომელი ახალგაზრდობისათვის იმ მიზნით, რომ მან იზრუნოს ცოდნის შესაძენად. სისტემატიურად იაროს იაჩეიკების სხდომაზე და სხვა.

მეორე ამოცანა ამ დარგში მდგომარეობს იმაში, რომ საბოლოოდ განმტკიცებული იქნას საკლუბო მუშაობა. გამოიძებნოს მატერიალური სახსარი—ამიერ-კავკასიის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის კლუბისათვის. საკლუბო მუშაობის კარგ დონეზე დაყენებით კომკავშირი შესძლებს მოიზიდოს ახალგაზრდა მუშები და გაანვითაროს მათში კომუნისტური შეგნება, გაიღვიძოს მათი კოლექტიური შემოქმედება.

შემდეგი საკითხი, რომელსაც მოაგვარებს მეორე ყრილობა, მდგომარეობს ეკონომიური მუშაობისათვის სათანადო გეგმის გამომუშავებაში. ახალი ეკონომიური პოლიტიკასთან დაკავშირებით მუშათა ახალგაზრდობის ეკონომიური მდგომარეობა პირველ ხანებში გაუარესდა. შემცირება, აქედან უმუშევრობა და მრავალი სხვა ატრიბუტები ახალი ეკონომიური პოლიტიკის, პირველ რიგში, ახალგაზრდობის ხარჯზედ ხდება უმთავრესად. მაგრამ დღეს მუშათა ახალგაზრდობის ეკონომიური პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდა.

მხოლოდ ჯერ კიდევ ბევრის გაკეთებაა საჭირო ამ დარგში. კიდევ მეტი ენერგიით აწარმოებს მუშაობა მეორე ყრილობის შემდეგ, საფაბრიკო საქარხნო შკოლების გასახსნელად და მოსაწყობად.

ახლო მომავალში უნდა დამთავრდეს სახელოსნო შკოლების რეორგანიზაცია საქართველოში.

კარგ საფუძველზე უნდა მოეწყოს მეტალისტთა სკოლა ბაქოში და ტფილისში.

მეორე ყრილობა გაუკეთებს რა ჯამს ეკონომიურ სფეროში წარმოებულ მუშაობას, კიდევ მეტ სწორ მიმართულებას მისცემს მის მუშაობას შემდეგში.

მეორე ყრილობა გადასწყვეტს, თუ რა გზით უნდა აწარმოოს კომკავშირის მუშაობამ, რომ გაღრმავებული იქნას მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის ლტოლვა კომუნისტური ორგანიზაციებში, რა მეთოდებით უნდა იწარმოოს მუშაობამ, რომ უპარტიო მუშათა ახალგაზრდობა დარჩეს კომკავშირის პოლიტიკურ და იდეურ გავლენის ქვეშ.

კოგო.

კარლ ლიბკნეხტი და მუშათა ახალგაზრდობა

პროლეტარული ახალგაზრდობის მოძრაობა დიდხანს ვერ პოულობდა ვერც დახმარებას, ვერც ყურადღებას სოციალისტური პარტიებისა და პროფესიონალური კავშირების მხრით.

კარლ ლიბკნეხტი მხურვალეთ გამოეხმაურა მუშათა ახალგაზრდობის საჭიროებასა და მოთხოვნილებებს. მას მშვენივრად ესმოდა ამ ახალგაზრდობის როლი კლასთა ბრძოლისათვის.

ის იყო ერთი იმ პირველთაგანი, რომელმაც აღიმაღლა ხმა მის სასარგებლოთ. მუშათა ახალგაზრდობის სოციალისტური აღზრდას კ. ლიბკნეხტი სთვლიდა აუცილებელ პირობათ სოციალიზმის გამარჯვებისათვის, ისე როგორც ახალგაზრდობის ორგანიზაციული მხრით დამოუკიდებელ მოძრაობას, რომლის უმთავრეს ამოცანას შეადგენს მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მაგრამ სოციალ-დემოკრატიას დასავლეთში მიაჩნდა მხოლოდ და განსაკუთრებით კულტურული განმანათლებელი კავშირები უფროსთა ხელმძღვანელობის ქვეშ ზრუნვა ახალგაზრდობაზე. მათი წრიდან ყოველივე პოლიტიკის განდევნით.

კ. ლიბკნეხტს შექონდა მთელ რიგ პარტიი ტაგებზე წინადადებანი ახალგაზრდობის სოციალისტური მოძრაობის დაარსებისა და მისთვის დახმარების გაწევის შესახებ და თითონაც აქტიურათ მუშაობდა გერმანიის ახალგაზრდობის ორგანიზაციის შექმნაზე. მის შრომას უნდა მიეწეროს, უმთავრესად ის, რომ 1907 წლის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესთან დაკავშირებით შესდგა პირველი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია ახალგაზრდობისა და დაარსებული იქმნა „საერთაშორისო გაერთიანება“ ახალგაზრდობის სოციალისტური ორგანიზაციებისა (შტუტგარტის კონგრესი) კარლოს ლიბკნეხტი არჩეულ იქნა ახალგაზრდობის ინტერნაციონალის პირველ ბიუროში.

კ. ლიბკნეხტმა ახალგაზრდობის პირველ საერთაშორისო კონგრესზე წაიკითხა საფუძვლიანი რეფერატი ახალგაზრდობის ინტერნაციონალის ანტიმილიტარისტული მოღვაწეობის შესახებ. მან დაასურათა ჭეშმარიტი რაობა მილიტარიზმისა, რომელიც მას აიძულებს ემსახუროს არა თუ არმიაში, არამედ მის პოლიტიკასაც, მთელი სისტემით (სკოლა, ეკლესია, იუსტიცია, ლიტერატურა, პოლიცია და სხვა.) რომელიც ეჭრება საზოგადოების ყველა ფენებში.

მისი ამოცანაა იმპერიალისტური დაპყრობა ქვეყნის საზღვრებ გარეშე და დაჩაგვრა მშრომელი კლასებისა თავის საკუთარ ქვეყანაში, რათა აწარმოოს მათი ექსპლოატაცია. ლიბკნეხტმა დაამტკიცა, რომ ახალგაზრდობის ორგანიზაციებმა აუცილებლად უნდა აწარმოონ, ანტიმილიტარისტული და სოციალისტური პროპაგანდა ახალგაზრდა მუშათა შორის, როგორც მათ არმიაში შესვლამდე, ისე თვით ჯარებშიც შეაკავშირონ, დარაზმონ ისინი და გამოიყენონ ჯარის რევოლიუციონერებისათვის. საჭიროა თუ არა უარის განცხადება სამხედრო ბეგარის მიხდაზე, რასაც სცდილობენ სინდიკალისტები და ანარქისტები. ის შესაძლებელია მხოლოდ მასიური ფორმით, დაკავშირებულია საერთო სამოქალაქო ომთან და კერძო შემთხვევებში არავითარ შედეგს არ მოიტანს. შეიარაღებული კაპიტალისტური [illegible] მოსპობილი უნდა იქნას შეიარაღებულივე ხელით.

„არ დაჰყაროთ იარაღი, არამედ მიმართეთ იგი სხვა მხრით“.

ლიბკნეხტის თეზისებმა სამსახური გაუწიეს ახალგაზრდობის მხოლოდ რამდენიმე კავშირს, რომელნიც მის მიმდევარი იყვნენ. მრავალი კავშირებში კი სოციალ დემოკრატიულმა პარტიულმა ბიუროკრატიამ არ დაუშვა ამ თეზისების შემოღება, ისევე, როგორც სოციალ დემოკრატიულმა პარტიამ უარი განაცხადა ლიბკნეხტის მოთხოვნილებაზე, რომ დაეწყოთ ანტი მილიტარისტული მოქმედება. იმ აზრებისა და მოთხოვნილებებისათვის, რომელიც გამოსთქვა ლიბკნეხტმა ახალგაზრდობის საერთაშორისო კონგრესზე და წიგნში „მილიტარიზმი და ანტი მილიტარიზმი“, ის 1 ნახევარი წლით ჩაგდებული იქნა საპყრობილეში.

კარლოს ლიბკნეხტი და მუშათა ახალგაზრდობა ომის დროს.

მეორე ინტერნაციონალის დაღუპვის დროს მუშათა ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი კვლავ პირველი შეუერთდა მუშათა კლასის რევოლიუციონერ ელემენტებს რევოლიუციონურ ბრძოლაში. ლიბკნეხტი აძლევს მათ სიმხნევეს და უჩვენებს სწორ გზას.

შუა ევროპის ქვეყნებში მუშათა ახალგაზრდობის შორის ვრცელდება მისი დეკლარაცია იმ უარის შესახებ, რომელიც განცხადებული იქნა სამხედრო სესხის დამტკიცებაზე 1914 წლის 2 დეკემბერს. ახალგაზრდობის ინტერნაციონალი, როგორც ერთი პირველი მუშათა ორგანიზაციათაგანი, აახლებს მისი დროშას ქვეშ რევოლიუციონურ კლასიურ ბრძოლას. ლიბკნეხტი თანამშრომლობს „იუგენდ-ინტერნაციონალ“-ში. მუშათა ახალგაზრდობა შეადგენს მთავარ ნაწილს 1916 წელს 1 მაისის დემონსტრაციებისას და აწარმოებს ლიბკნეხტის ხელმძღვანელობით არალეგალური მუშაობას მასებში. ლიბკნეხტი ხელმძღვანელობას უწევს გერმანიის მუშათა ახალგაზრდობის რევოლიუციონური ოპოზიციის პირველ არალეგალურ კონფერენციას 1916 წლის იენაში და არკვევს გერმანიის ახალგაზრდობის მოძრაობისათვის გზებს, რომლითაც უნდა წავიდეს ის მომავალში. ახალგაზრდობის ინტერნაციონალის საერთაშორისო მანიფესტაციები ლიბკნეხტის საპატივსაცემოთ, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 1918 წელში, შეადგენენ ფრიად მნიშვნელოვან გამოსვლებსა და დემონსტრაციებს ომის წინააღმდეგ.

კ. ლიბკნეხტი—მოწინავე მებრძოლი ახალგაზრდობის საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობისა და მისთვის მაღალი მაგალითები.

კ. ლიბკნეხტის ცხოვრება და მოღვაწეობა, რომელიც სავსეა შეუდრეკელი ბრძოლით და აღგზნებული, თავდავიწყებული სამსახურით რევოლიუციონური სოციალიზმისადმი, და რომელიც დამთავრდა მისი მოწამებრივი სიკვდილით კომუნისტური რევოლიუციისათვის არის მოელვარე და ბრწყინვალე მაგალითი საერთაშორისო მუშათა ახალგაზრდობისათვის,

კარლ ლიბკნეხტი ხედავს რევოლიუციონურ მუშათა ახალგაზრდობაში პროლეტარული რევოლიუციის ყველაზე ბრწყინვალე მნათობს, ეგი შეუწყვეტლივ უწევდა მას დახმარებას და ხელმძღვანელობდა მას. ახალგაზრდობის საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისათვის ის იყო არა მარტო კომუნიზმის ბელადი, არამედ აგრეთვე მაღალი მაგალითი, და მოწინავე მებრძოლი ამ მოძრაობისა.

როდესაც ახალგაზრდობის ცენტრისტული და სოციალ დემოკრატიული ორგანიზაციები იხსენიებენ კარლ ლიბკნეხტს ეს პირმოთნეობაა, ვინაიდან ისინი არღვევდნენ მის ნებისყოფას ყოველ ნაბიჯზე და დამნაშავენი არიან მის სიკვდილში.

კ. ლიბკნეხტის ნათესი იღებს ნაყოფს

ომის დროს განახლებულმა ახალგაზრდობის ინტერნაციონალმა კვლავ იწყო ანტიმილიტარისტული ბრძოლა. გარდაქმნილმა ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალათ, მან მთელი სიცოცხლით შეიტანა თავის პროგრამაში ბრძოლა კაპიტალის შეიარაღებული ძალის წინააღმდეგ და გასწია წინ ლიბკნეხტის მიერ ნაჩვენები გზით, ანგარიშს უწევდა რა მსოფლიო რევოლიუციის გაკვეთილებს. წითელი არმიის დაარსება პროლეტარიატის შეიარაღება, ანტიმილიტარისტული თეზისები ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესისა—ყველა ეს შეადგენს კ. ლიბკნეხტის მიერ ნამდვილ მუშაობას. ყველა ქვეყნებში ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციები აწარმოებენ კ. ლიბკნეხტის დროშის ქვეშ აქტიურ ბრძოლას ბურჟუაზიული მილიტარიზმის წინააღმდეგ. ბრძოლა ფაშისტებთან, ანტიმილიტარისტული პროპაგანდა იტალიაში, გამოსვლები საფრანგეთში, ისპანიაში, ჩეხო-სლოვაკიაში და სხ.

ჩვენი ამოცანები საოცრად გაიზარდა, ჩვენ ჯერ კიდევ გზის დასაწყისში ვართ, ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა ჩვენი ძალ-ღონის გარკვევა.

ა. კ. კ. ყველა სამაზრო და საოლქო კომიტეტებს

ცირკულიარულად

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის, 3 სექტემბრის გატარებისათვის

ძვირფასო ამხანაგებო! ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის დადგენილებით 3 სექტემბერი არის დანიშნული ახალგაზრდათა მორიგ საერთაშორისო დღეთ.

კომუნისტური ინტერნაციონალის მუშათა ერთიანი ფრონტის ტაქტიკასთან დაკავშირებით, 3 სექტემბრის დღესასწაულს ეძლევა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა.

ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირმა უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა ამ დღის გატარებაში. მთელ მუშა-გლეხობის ახალგაზრდობის ა. კ. კ.-თან შემოერთებით დაუმტკიცოთ მთელ ქვეყანას, რომ საქართველოში არ არის არც ერთი სხვა ახალგაზრდათა ორგანიზაცია, რომლის დროშის ქვეშ იმყოფებოდეს რევოლიუციონური ახალგაზრდობა.

ამიტომ 3 სექტემბრის გატარებისათვის უნდა იქნას მიღებული შემდეგი პრაქტიკული ზომები:

1) დაუყონებლივ შეუდგეთ მუშაობას ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის მომზადებისათვის, მოიწვიოთ პარტიის და კავშირის კომიტეტების შეერთებული კრებები.

პასუხის მგებელ პარტიის და კავშირის მუშაკებს შეერთებულ სხდომაზე გაკეთდეს მოხსენება.

გამოიყოს ამ თემაზე მომხსენებლები: ახალგაზრდათა წითელი და ყვითელი ინტერნაციონალი; წარმოშობა, ისტორია და მნიშვნელობა ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის.

შენიშვნა: ამასთან ერთად იგზავნება თეზისები.

2) ყველა სამაზრო და საოლქო კომიტეტებთან დაარსდეს კომისია, რომელიც უხელმძღვანელებს ადგილობრივად ამ დღის გატარებას. კომისიაში შედიან, გარდა კავშირის კომიტეტისა, აგრეთვე წარმომადგენლები პარტიისა, პოლიტიკურ განათლების, პროფკავშირის და არმიის.

3) უმთავრესად საჭიროა მოწყობა გრანდიოზული მიტინგებისა მუშათა ცენტრებში: ტფილისში, ბათუმში, ტყვარჩელში, ჭიათურაში, ხაშურში, ბორჯომში და ქუთაისში, მუშათა ახალგაზრდობის დემონსტრაციით, რომელმაც უნდა გვიჩვენოს თუ რამდენათ მძლავრი გავლენა აქვს ა. კ. კ. მასაზე.

4) დღის გატარებაში საჭიროა ჩაბმა, გარდა კავშირის წევრებისა, აგრეთვე მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის ფართე მასები. სააგიტაციო კვირა იქნება გატარებული 27 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე.

5) სააგიტაციო კვირას, რომლის განმავლობაში უნდა წარმოებდეს ენერგიული მუშაობა ახალგაზრდათა საერთაშორისო დღისთვის მოსამზადებლად, უნდა მიექცეს დიდი ყურადღება კავშირის მიერ.

6) ქალაქებში, ყველა ფაბრიკებში და ქარხნებში არსდება კომისია უპარტიო ახალგაზრდობის ჩასაბმელად ამ მუშაობაში.

ა. კ. კ. ინიციატორობით იმართება საერთო კრება მუშათა ახალგაზრდობისა მოზრდილ მუშებთან და კომპარტიის წევრებთან, რომელზედაც უნდა იქნეს გატარებული მოხსენებები ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის მნიშვნელობის შესახებ.

7) სააგიტაციო კვირა სოფლებში ტარდება უპარტიო ახალგაზრდობის კრების გამართვით, სადაც უნდა მოუწოდოთ მათ მიიღონ მონაწილეობა 3 სექტემბრის დემონსტრაციაში.

8) მუშათა ახალგაზრდობის დემონსტრაცია ქალაქებში, სამაზრო და რაიონულ ცენტრებში უნდა იქნეს კარგად მომზადებული. იქ, სადაც არსებობს სამხედრო სასწავლებლები, სასურველია კურსანტების მონაწილეობა, მხოლოდ იმ პირობით, რომ მიტინგმა არ უნდა მიიღოს სამხედრო სახე.

9) იმ სოფლებში, სადაც ა. კ. კ. იაჩეიკა მძლავრია, სასურველია მოეწყოს მიტინგები გლეხთა ახალგაზრდობისა სოფლებში, თვით საერთაშორისო დღის ძირითად ლოზუნგის ახსნის გარდა, უნდა მოხდეს შეერთება ერთ დროშის ქვეშ გლეხთა ახალგაზრდობისა ა. კ. კ. გარშემო.

10) მიტინგების შემდეგ, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში, საჭიროა საღამოების და წარმოდგენების მოწყობა, რომელზედაც გაკეთდება მოხსენებები დღის ძირითად ლოზუნგზე. ამ საღამოებზე და მოხსენებებზე მოწვეულ იქნას უპარტიო მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობა.

11) წარმოდგენების, კონფერენციების და საღამოების მოწყობის საქმეში უნდა მივმართოთ პოლიტიკურ განათლების და სახ. გან. კომ. არტისტული ძალების ჩასაბმელად.

12) აგიტაციისათვის გამოყენებულ იქნას ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული გაზეთები, სასურველია გაზეთის № მთლიანად მოახმაროთ ამ დღეს.

13) ახალგაზრდობის მოძრაობის დღის გატარების შემდეგ გამოეგზავნოს ცეკას დაწვრილებითი ანგარიში კომპანიის ჩატარების შესახებ.

ც. კ. ს. ა. კ. კ. მდივანი **დევდარიანი**
აგიტ-პროპაგანდ. განყ. გამგე
გორდელაძე.

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე

თეზისები.

1. მუშათა ახალგაზრდობის სოციალისტურ მოძრაობის ისტორიაში არაჩვეულებრივი მომენტი დადგა 1914 წელს, გამოწვეული იმპერიალისტური ომის მეოხებით. ამ უკანასკნელმა სრული განადგურებით დაიმუქრა პროლეტარიატის წმინდათა წმინდას მის ინტერნაციონალურ სოლიდარობას და საერთაშორისო რევოლიუციონურ გაერთიანებას.

მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტული პარტიების მოღალატურმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო იმპერიალისტურ ომის ფერხულში ჩაბმულიყო მუშათა კლასი; სოციალ-გამცემლებმა ბურჟუაზიულ მთავრობის მხარის დაჭერით ომის საწარმოებლად, უდიდეს საფრთხის წინაშე დააყენეს პროლეტარიატის სოციალისტური მოძრაობა. მოსალოდნელი იყო, რომ კრიზისი მუშათა კლასის მოძრაობიდან გადავიდოდა ახალგაზრდათა სოციალისტურ მოძრაობაშიაც. მაგრამ ის არ მოხდა. მუშათა რევოლიუციონერმა ახალგაზრდობამ შესძლო დაეძლია შოვინისტური ვაკხანალია. საერთაშორისო მუშათა სოციალისტურმა ახალგაზრდობამ შეინარჩუნა თავისი რევოლიუციონური ტრადიცია. იმპერიალისტური ომით გარემოცული მსოფლიოში ამაყათ აღიმართა ახალგაზრდათა მოძრაობის ინტერნაციონალურად გაერთიანების წითელი დროშა.

2. იმპერიალისტური ომის დაწყების მომენტიდან პირველათ იქნა მოწვეული 1915 წელს ქ. ბერნში, შვეიცარიაში, საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია ახალგაზრდა მუშა ორგანიზაციებისა. ეს იყო პირველი ცდა ინტერნაციონალის აღდგენისკენ მიმართული. ამ კონფერენციაზე ერთხმად იქნა მიღებული წინადადება ჰოლანდიელი ამხანაგისა ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის შემოღების შესახებ. გადაწყვეტილი იყო, რომ სოციალისტური ახალგაზრდობა ერთ განსაზღვრულ დღეს ყოველ წლობით გაიმართავდა დემონსტრაციებს და გაილაშქრებდა უაზრო სისხლის ღვრის წინააღმდეგ. ამ დღეს მუშათა რევოლიუციონური ახალგაზრდობა ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში მძლავრ პროტესტს განაცხადებდა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ და მოითხოვდა მის სასწრაფო შეწყვეტას. მუშათა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე შემოღებული იქნა სექტემბ. პირველ კვირაში. პირველ ხანებში ამ დღის მნიშვნელობა ძლიერ განსაზღვრული იყო, მაგრამ შემდეგში მრავალ სოციალ-ფაქტორების ზეგავლენით ძალიან გაფართოვდა. ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე შეიქნა მკვეთრი გამოხატულება კლასთა ბრძოლისა.

3. მუშათა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე შესდგა 3 ოქტომბერს 1915 წელს. მის მოწვევას ხელმძღვანელობდა სოციალისტურ ახალგაზრდობის ბერნის კონფერენციის მიერ არჩეული საერთაშორისო სეკრეტარიატი. დემონსტრაციები გაიმართა უმთავრესად ნეიტრალურ ქვეყნებში: შვეიცარიაში, შვეციაში, დანიაში, აგრეთვე იტალიაში და სხვ. ამ დღის ლოზუნგს გამოეხმაურა სულ ცხრა ქვეყნის ახალგაზრდობა, დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო დაახლოვებით 200.000 ახალგაზრდა პროლეტარმა. დემონსტრაციებმა მძლავრი გავლენა იქონიეს პროლეტარული ახალგაზ. სოციალისტურ მოძრაობის განვითარებაზე. თავისი პირველი საერთაშორისო რევოლიუც. გამოსვლა ახალგაზრდობამ შესძლო იმპერიალისტური ომის მწვავე მომენტში.

4. ბერნის კონფერენციის დადგენილებით, მეორე საერთაშორისო დღე დანიშნული იქნა 3 სექტემბერს 1916 წელს, მოწოდებამ, ყველა ქვეყნის ახალგაზრდა მუშებისადმი, რომელიც გამოცემული იქნა საერთაშორისო სეკრეტარიატის მიერ, კიდევ უფრო ხელი შეუწყო ბრძოლის და მოძრაობის განვითარებას. განვითარდა კლასიური ბრძოლის ფრონტი სოციალ-გამცემლობის წინააღმდეგ, რომლებიც ისხდნენ ბურჟუაზიულ სამინისტროებში და ხელს უწყობდნენ იმპერიალისტურ ომის წარმოებას. პროლეტარულ მასის ფართო წრეების ზეგავლენით ახალგაზრდობის მეორე საერთაშორისო დღე მეტი მნიშვნელობით აღმოჩნდა პირველთან შედარებით. ახალგაზრდათა მანიფესტაციები გაიმართა არა მარტო ევროპის სახელმწიფოებში, არამედ ამერიკის და კანადის მუშათა ახალგაზრდობამ ათასობით მონაწილეობა მიიღო დღესასწაულში. მეორე საერთაშორისო დღის მოწყობით განმტკიცდა და გამაგრდა ინტერნაციონალური სოლიდარობა, 1916 წლის დემონსტრაციების დროს პირველად ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მიერ ხმარებულ იქნა ხიშტი და პულემიოტები ახალგაზრდობის წინააღმდეგ. მრავალი ახალგაზრდა მსხვერპლი შეიქნა ბურჟუაზიულ მთავრობის: შვეიცარიაში, გერმანიაში და იტალიაში.

5. ახალგაზრდათა მესამე საერთაშორისო დღე შესდგა 2 სექტემბერს 1917 წელს. ახალგაზრდათა მოძრაობამ მძლავრი ნაბიჯი გადასდგა წინ. მესამე დღესასწაული ევროპის მრავალ ქვეყნებში ჩატარდა ახალგაზრდობის ერთსულოვანი გამოსვლებით იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ. ახალგაზრდა მანიფესტაციების დიდი რიცხვი დამამტკიცებელი შეიქნა კლასიურ ბრძოლის უფრო განვითარების, რომელიც მიმართული იყო იმპერიალისტურ ბურჟუაზიის და სოციალ-გამცემლობის წინააღმდეგ, იმპერიალისტური ომის სასწრაფოთ შეწყვეტის და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის აღდგენის ლოზუნგის ქვეშ.

6. სოციალისტური ახალგაზრდობა განაგრძობდა რევოლიუციონურ გამოსვლებს. ბერნის კონფერენციის მიერ არჩეული საერთაშორისო სეკრეტარიატის ხელმძღვანელობით, გაცხოველებული ომის პერიოდში, მოწყობილი მუშათა ახალგაზრდობის დემონსტრაციები ერთად ერთი რევოლიუციონური გამოსვლები იყო ომის წინააღმდეგ. მეოთხეთ ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე მოეწყო ახალ პირობებში. 1918 წლამდის დღესასწაულის უმთავრესი ლოზუნგი იყო: ბრძოლა ინტერნაციონალის აღდგენისათვის. 1918 წელს ახალგაზრდობის გამოსვლა თავის დღესასწაულზე მძლავრი დემონსტრაცია იყო საბჭოთა რუსეთთან სოლიდარობის. აქ პირველათ მიიღო მონაწილეობა რუსეთის რევოლიუციონურმა ახალგაზრდობამ საერთაშორისო დღის დღესასწაულში. საერთაშორისო დღის დღესასწაულში საერთაშორისო ახალგაზრდობამ, თავის კლასიურ დღის მეოთხე ჯერ დღესასწაულის დროს, ცხოველი რევოლიუციონური თანაგრძნობა განუცხადა საბჭოთა რუსეთს. ამით მან საქვეყნოთ დაამტკიცა თავის რევოლიუციონური მუშაობა და ბრძოლა სოციალიზმის გამარჯვების მოპოვებისათვის.

7. ახალგაზრდობის მეხუთე დღე 7 სექტემბერს 1919 წელს ჩატარდა კლასიური ბრძოლის უდიდესი ლოზუნგებით: დანგრევა ბურჟუაზიულ წესწყობილების, კომუნისტური საზოგადოების განხორციელება მთელი სახელმწიფოებრივი ძალა უფლება მუშების და გლეხების დეპუტატთა საბჭოებს.

საბჭოთა სისტემის იდეამ მტკიცეთ დაისადგურა რევოლიუციონურ ახალგაზრდობაში სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა ახალგაზრდობა გერმანიაში, მრავალი მათგანი კატორღაში გაასტუმრა ნოსკე შეიდმანის მთავრობამ.

8. ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის პირველმა კონგრესმა ბერლინში ახალგაზრდობის მორიგი დღე დანიშნა 5 სექტემბერს, 1920 წელს ღრმა სოციალ პოლიტიკურმა ცვლილებებმა დიდებითად იმოქმედეს ახალგაზრდათა მოძრაობაზე. დემონსტრაციები გაიმართა მრავალ ქვეყნებში: შვეიცარიაში, ავსტრიაში, იტალიაში, სამხრეთ-სლავიაში, რუსეთში, ფინლანდიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ჰოლანდიაში, ისპანიაში ნორვეგიაში და სხვა. მარტო შვეიცარიაში შეკრებილი იქნა 28.000 მარკა კ. ლიბკნეხტის სახელობის ფონდისათვის. გერმანიაში დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 100.000 ახალგაზრდა პროლეტარებმა. ეს კი აიხსნება ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალის უშუალო ხელმძღვანელობით.

ამ წელს ახალგაზრდობის დღე ჩატარდა 20 სახელმწიფოში, მონაწილეობა მიიღო 3.000.000-ზე მეტმა ახალგაზრდობამ.

9. 7 დღე ჩატარდა ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის მთავარ დადგენილებათა ლოზუნგის ქვეშ. მჭიდრო კავშირის გამტკიცება კომპარტიას და კომკავშირის შორის, დახმარების აღმოჩენა დამშეულ საბჭოთა რუსეთს, დღის მოწყობაში და ჩატარებაში პარტია და კავშირი მჭიდრო კონტაქტით მუშაობდა, სადაც ეს შესაძლებელი იყო. იტალიის ბურჟუაზიულმა მთავრობამ დაატუსაღა 200 ახალგაზრდა მუშა დემონსტრანტი. ფაშისტებთან შეტაკების დროს ახალგაზრდობას დაუჭრეს 12 კაცი.

მეშვიდე დღემ თავისი გრანდიოზული ხასიათით, დაამტკიცა ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის სწრაფი ზრდა და განვითარება საერთაშორისო მაშტაბში.

10. წელს საერთაშორისო კომუნისტური ახალგაზრდობა 8 ჯერ დღესასწაულობს თავის ინტერნაციონალურ დღის, რომლის გატარებას ეძლევა დიდი მნიშვნელობა კომინტერნის ტაქტიკასთან დაკავშირების გამო მთლიანი მუშათა ფრონტის შექმნაში ცხოველი მონაწილეობა მიიღონ. მუშათა ეკონომიური მდგომარეობა მთელ ევროპაში უმწეოა. ამიტომ ახალგაზრდობა აწარმოებს ბრძოლას თავისი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, 3 სექტემბრის ლოზუნგი არის: პროლეტარული ახალგაზრდობის გაერთიანება კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ საბრძოლველად; საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი ახალგაზრდობა შემოკრბება კომკავშირის გარშემო, რომ მოიპოვოს შესაძლებლობა განვითარების, სწავლა-განათლების და შრომის ნორმალურ პირობების.

11. საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდათა მუშები და გლეხები მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო დღის დღესასწაულში, დარწმუნებული, რომ არ არსებობს სხვა არც ერთი რომელიმე ორგანიზაცია, რომელიც დაიცავს მათ კლასიურ ინტერესებს, საბჭოთა საქართველოს რევოლიუციონური ახალგაზრდობის დემონსტრაცია სამუდამოთ დაასამარებს ახალგაზრდა მენშევიკების „ორგანიზაციას“ რომელსაც არავითარი ნიადაგი არ აქვს. 3 სექტემბრის დემონსტრაცია გვიჩვენებს თუ რამდენათ ძლიერია კომუნისტური კავშირი და რამდენათ ძლიერია მისი გავლენა მშრომელ ახალგაზრდობაზე.

ს. ა. კ. კ. საგიტ. საპროპ. განყოფ.

[illegible] 10,[illegible] 5. ფ. ხ. ც. საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლეს მეურნეობის პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.